USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

REAP | Restoring Efficiency to Agriculture Production
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი

ქართული დაფნა

და მისი საექსპორტო პოტენციალი

2017

აღნიშნული კვლევა მოამზადა ააიპ ექსპორტის განვითარების ასოციაციამ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

ამ კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დახმარებით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი I 5

თავი1: დაფნის სექტორის მიმოხილვა საქართველოში 6

1.1 დაფნის ისტორია საქართველოში 6

1.2 დაფნის ფოთლის წარმოების მოცულობა საქართველოში 6

1.3 დაფნის გამომშრალი ფოთლის წარმოება საქართველოში 7

1.3.1 ექსპორტი 7

1.3.2 საექსპორტო ფასები 9

1.3.3 ადგილობრივი მოთხოვნა 9

1.3.4 იმპორტი 10

თავი 2: დაფნის გამომშრალი ფოთლის ღირებულებათა ჯაჭვი 11

2.1. საექსპორტო პროდუქციის კატეგორიები 13

2.2 წარმოების პროცესი 13

2.3 სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების სერტიფიცირება საქართველოში 14

2.4. ლაბორატორიები 15

ნაწილი II - ბაზრის კვლევა და შესაძლებლობების განსაზღვრა 16

თავი 3: დაფნის გამომშრალი ფოთლის საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა (წამყვანი მწარმოებელი ქვეყნები, იმპორტიორები და ექსპორტიორები) 17

3.1. მსოფლიო ბაზრის მიმოხილვა 17

3.2. კონკურენცია 18

3.2.1 თურქეთი 18

3.2.2 თურქეთის საშუალო ექსპორტ/იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით 19

თავი 4: პოტენციური მიზნობრივი საექსპორტო ბაზრის მიმოხილვა 20

4.1. ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მოთხოვნები 27

დანართი 1: მოკვლეული მონაცემები და ევროკავშირის ბაზარზე გასვლის რეკომენდაციები (პოტენციური სამიზნე საექსპორტო ბაზარები 31

დანართი 2: პოლონეთი - პოტენციური საექსპორტო ბაზარი საქართველოს-თვის 37

დანართი 3: ექსპორტის პროცედურები 42

რეზიუმე

ანგარიში ქართული დაფნის ფოთლის სექტორისა და მისი საექსპორტო პოტენციალის შესახებ მოამზადა ააიპ ექსპორტის განვითარების ასოციაციამ USAID/REAP-ის დავალებით. ანგარიში ეფუძნება საქართველოში ჩატარებულ დაფნის ფოთლის სექტორის კვლევას: ქართული დაფნის ფოთლის მწარმოებელი ოთხი კომპანიის (მათ შორის ორი - USAID/REAP-ის ბენეფიციარია, ხოლო ორი - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ბენეფიციარი) საექსპორტო მოცულობის შეფასებას, დაფნის ფოთლის საერთაშორისო ვაჭრობის შესაბამის ანალიზს.

ანგარიში ეფუძნება საქართველოში ჩატარებულ დაფნის კვლევას, რომელიც მოიცავს წარმოების არსებულ და პოტენციურ მოცულობებს, ასევე რეალურად მისაღწევ ხარისხის სტანდარტებს, რაც გამოჩნდა ექსპორტის აუდიტის ჩატარებისას. ქართული დაფნის ფოთლის წარმოების ზოგადი მდგომარეობა შეფასდა გლობალური მოთხოვნის შესაბამისად. კვლევისას კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმით შეისწავლეს მთელი რიგი პოტენციური საექსპორტო ბაზრები, რაც გულისხმობდა ბაზრის მოცულობას, ქართული პროდუქციის ცნობადობას, ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის ხარჯებს, შესაბამისობის მოთხოვნებს, სხვადასხვა ტექნიკურ ბარიერს. ამ კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტისთვის პრიორიტეტული ევროკავშირის (EU) ბაზარია. ანგარიში ასევე გვთავაზობს მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულ ექსპორტის განვითარების გეგმას შერჩეული კომპანიებისთვის დეტალური ინსტრუქციებით, რომლებიც მიზნად ისახავს მათი საექსპორტო პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებას. ეს აუცილებელია დამატებითი ღირებულების გაზრდისა და მოგების მაღალი მაჩვენებლის მიღწევისთვის გრძელვადიან პერიოდში. რეკომენდაციები ეყრდნობა ინდივიდუალურ შეფასებას და ხელმისაწვდომია დაფნის ფოთლის სხვა მწარმოებლებისათვისაც ადგილობრივ ბაზარზე.

ნაწილი 1

დაფნის
სექტორის მიმოხილვა საქართველოში

Laurus nobilis

თავი1: დაფნის სექტორის მიმოხილვა საქართველოში

1.1 დაფნის ისტორია საქართველოში

დაფნა - (Laurusnobilis L.- კეთილშობილი დაფნა) დაფნისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, რომელიც, მის გარდა, შეიცავს 45 სახეობას და დაახლოებით 1000 ჯიშს. იგი ასევე ცნობილია, როგორც ტკბილი დაფნა, კეთილშობილი დაფნა, ბერძნული დაფნა, ნამდვილი დაფნა და დაფნის ფოთოლი. საქართველოში მას „დაფნა“ ეწოდება. კეთილშობილი დაფნა მთელ მსოფლიოში მიღებულია, როგორც მნიშვნელოვანი სამედიცინო და კულინარიული მცენარე. გარდა მისი სამედიცინო და კულინარიული გამოყენებისა, იგი ხშირად გვხვდება ორნამენტებშიც. კვების მრეწველობაში დაფნა არსებობს როგორც ნედლი, ისე გამომშრალი ფორმით, მაშინ, როდესაც ფარმაცევტიკასა და კოსმეტიკის წარმოებაში მისი გამოყენება შეიძლება მრავალი ფორმით. ესენია: ზეთი, ფოთლის ან თესლის ცივად გამოყვანილი ზეთი, ფოთლის ექსტრაქტი და ა.შ.

თავისთავად სახელწოდება Laurus (კეთილშობილი) მომდინარეობს კელტური სიტყვიდან „Blaur”, რაც მწვანეს ნიშნავს და მიუთითებს, რომ ეს მცენარე მარადმწვანეა. ანტიკური ხანიდან მოყოლებული მრავალი ლეგენდა და მითი უკავშირდება დაფნას. მცენარის ასაკზე მიგვითითებს პალეობოტანიკის მასალა.

კვლევებმა ასევე გვიჩვენა, რომ კეთილშობილი დაფნა არსებობდა კოლხეთში შუა მესამეული სისტემის პერიოდში, პროფ. ა.ა. კალაკოვსკიმ (პალეობიოლოგი, სოხუმის სუბტროპიკული მრეწველობის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი) კოდორის ფლორის ბოტანიკურ-გეოგრაფიული კვლევების ანალიზისას დაადგინა, რომ ნაპოვნი დაფნის ფოთლის გაქვავებული ანაბეჭდი თავისი ფორმით, ზომითა და დაძარღვით ძალიან ჰგავს კანარის კუნძულებზე გავრცელებული დაფნის ფორმას, ცნობილს „კანარის დაფნის“ სახელწოდებით. ნამარხების აღწერა იძლევა ფიქრის საფუძველს, რომ თანამედროვე კეთილშობილი დაფნა არსებობდა კოლხეთის ტყეებში ჯერ კიდევ შუა პლიოცენურ პერიოდში. წარსულში დაფნის ტყეები გავრცელებული იყო ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთისა და ქუთაისის მიდამოებში. ამჟამად დაფნის ფოთლის ხეებს ველურად ურთის მთაზე, სამეგრელოში, ვხვდებით. აქ ეს სახეობა ადგილობრივი ხეების ჯიშებთან ერთად ვრცელდება ტყის მასივებში, კავკასიონის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე, დაახლოებით 9000 ჰა. ფართობზე. მე-19 საუკუნეში ყოველწლიურად დაახლოებით 700-800 ტონა დაფნის ფოთოლი გადიოდა დასავლეთ საქართველოდან საექსპორტოდ. მეფის რუსეთის პერიოდში დაფნის ფოთლის წლიური მოთხოვნა დაახლოებით 1200-1300 ტ. უდრიდა.

1.2 დაფნის ფოთლის წარმოების მოცულობა საქართველოში

დაფნის ფოთლის ხეების ბუნებრივი ნარგაობები საკარმიდამო ნაკვეთებსა და სამრეწველოდ გაშენებულ პლანტაციებზე ძირითადად გვხვდება საქართველოს შემდეგ მხარეებში: სამეგრელო - ზუგდიდის, ხობის, სენაკის, მარტვილის მუნიციპა-ლიტეტები; გურია - ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები; იმერეთი - ქუთაისის, ვანის, სამტრედიისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, აჭარაში, ასევე მცირე მასშტაბით კახეთში - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (აღმ. საქართველო).

დაფნის ფოთლის წარმოება განვითარებულია დასავლეთ საქართველოში, სადაც კლიმატი (ტენიანობა და სუბტროპიკული ჰავა) იდეალურია დაფნის ფოთლის საწარმოებლად. შესაბამისად, წარმოება და ნედლეულის შეგროვება კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოში.



საქართველოში დაფნის ფოთლის გავრცელების არეალი

საქართველოში დაფნის ფოთლის ხეებს ამჟამად 1500 ჰა უკავიათ. საშუალოდ მოსავალი 1 ჰექტარზე 3-დან 5 ტ-ს. (4 ტ. საშუალოდ) შეადგენს. მთლიანი წლიური მოცულობა ითვლის 6 ათას ტ. დაფნის გამომშრალ ფოთოლს.

დაფნის ფოთლის მწარმოებელი კომპანიები ნედლეულს უმეტესად მცირე საკარმიდამო ნაკვეთებიდან იძენენ, რომელთაგან თითოეულს საშუალოდ 2,5 ტ. დაფნის ნედლი ფოთლის (თავის ღეროებით) მიწოდება შეუძლია. დაახლოებით 5 კგ. ნედლეულია (დაფნის ნედლი ფოთოლი და ღერო) საჭირო 1 კგ. გამომშრალი დაფნის ფოთლის საწარმოებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეულ საკარმიდამო ნაკვეთს დაახლოებით 500 კგ. დაფნის ფოთლის მოწოდება შეუძლია მშრალი ფორმით. სტატისტიკური მონაცემებით, 10 000 საკარმიდამო ნაკვეთია ჩართული დაფნის ფოთლის (ნედლი ფოთოლი და ღერო) მიწოდებაში.

ამჟამად საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კომპანიას აქვს საკუთარი დაფნის ფოთლის პლანტაცია. შპს „ქართული დაფნა“ ფლობს 5 ჰა. დაფნის ფოთოლის პლანტაციას, შპს „დაფნა“ - 51 ჰა. პლანტაციას და შპს „ ჯუმითი“ – 61 ჰა. ახლად შეძენილ პლანტაციას, რომელსაც სჭირდება სამრეწველო მიზნით დამუშავება.

იმის გათვალისწინებით, რომ დაფნის გამომშრალი ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 3-5 ტონაა (ნედლი ფოთლისა და ღეროს წარმოების საშუალოდ 20%), საქართველოს წარმოება სამრეწველო პლანტაციებიდან იღებს მხოლოდ 122 ტონა გამომშრალ პროდუქტს (56 ჰა. დაფნის ფოთლის სამრეწველო პლანტაცია იძლევა 4 ტ. მოსავალს ჰექტარზე, მაგრამ მხოლოდ ამ პლანტაციების ნახევრიდან იღებენ მოსავალს ყოველ წელს).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მიმდინარე წლიური ექსპორტი საშუალოდ 4 500 ტ. შეადგენს, სამრეწველო პლანტაციებიდან დაფნის ფოთლის წარმოება მხოლოდ 3 %-ია, დანარჩენი 97% იწარმოება კერძო საკარმიდამო ნაკვეთებიდან შეძენილი ნედლეულით.

1.3 **დაფნის გამომშრალი ფოთლის წარმოება საქართველოში**

საქართველო დაფნის ფოთლის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორია მსოფლიოში. პოსტსაბჭოთა ქვეყნები ძირითადი საექსპორტო ბაზარია საქართველოსთვის, ამ ბაზრების საერთო თვისებებია: ქართული დაფნის ფოთლის ცნობადობა, ახლო გეოგრაფიული მდებარეობა, ორმხრივად აღიარებული სტანდარტების/ხარისხის მოთხოვნები, სასურველი გადახდის (წინასწარი გადახდის) და მიწოდების პირობები, შესაფერისი საკომუნიკაციო და სავაჭრო უნარ-ჩვევები და ქართველი ექსპორტიორების დიდი გამოცდილება ამ ბაზრებზე. საერთაშორისო ბაზარზე თურქეთი საქართველოს მთავარი კონკურენტია. დაფნის ფოთლის იმპორტი და ადგილობრივი მოთხოვნა უმნიშვნელოა შიდა ბაზარზე და წარმოება ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული.

ცხრილი 1.1 საქართველოში დაფნის ფოთლის წარმოება, მოთხოვნა, ექსპორტი და იმპორტი (2012-2016წწ.)

	2012	2013	2014	2015	2016
წარმოება (MT)	**3630**	**3605**	**4222**	**4695**	**4135**
იმპორტი (MT)	**0.1**	**0.1**	**0.3**	**16.1**	**1.6**
ექსპორტი (MT)	**3591.2**	**3564.6**	**4182.8**	**4662.7**	**4095.6**
მოთხოვნა (MT)	**38.9**	**40.5**	**39.5**	**48.4**	**41**

შენიშვნა: არ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია წარმოებისა და მოთხოვნის რეალურ მოცულობაზე. ორივე მონაცემი ლოგიკურად გამოთვლილია ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით და პირველადი ინფორმაცია მიღებულია ამ მრეწველობის ექსპერტებისაგან.

1.3.1 ექსპორტი

საქართველოში წარმოებული დაფნის ფოთოლი თითქმის მთლიანად გადის ექსპორტზე, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები უმნიშვნელოა. ამჟამად საქართველოს დაფნის ფოთლის ექსპორტიორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან: თურქეთი, რუსეთი და უკრაინა, მხოლოდ მათ შემდეგ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები - ყაზახეთი, ბელორუსი, უზბეკეთი და სხვ. ასევე ხორციელდება უმნიშვნელო ექსპორტი პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში, სამხრეთ კორეაში, ვიეტნამში, ნიგერიაში, ფილიპინებზე, ესპანეთში, ბულგარეთსა და სხვ. ქართული დაფნის ფოთლის ძირითადი მყიდველები იმპორტიორ ქვეყნებში არიან სანელებლების ბითუმად შემსყიდველნი, ადგი-

ლობრივი ბაზრების დისტრიბუტორები ან საცალო ვაჭრობის ქსელები, რომლებიც თვითონ უზრუნველ-ყოფენ შეფუთვას.

გრაფიკი 1.2 2012-2016 საქართველოს დაფნის ფოთლის საექსპორტო ბაზრის წილი ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი 1.3 2012-2016 წწ. ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტის მოცულობა ტონებსა და აშშ დოლარში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამჟამად საქართველოში დაფნის ფოთლის 49 ექსპორტიორია, დიდი და მცირე მწარმოებლების ჩათვლით.

ცხრილი 1.3. დაფნის ფოთლის მწარმოებელთა ათეული

კომპანია	მისამართი	საკონტაქტო ინფორმაცია	ვებ-გვერდი
შპს გეოპრიპრავა	საქართველო, ხობი, დადიანის ქ. 137	597739574; 577947741 geopriprava@yahoo.com	geopriprava.ge
შპს აგროლენდი	საქართველო, ზუგდიდი, კრილოვის ქ.	1599704228 george_nadaraia@yahoo.com	
შპს დაფნა	საქართველო, სენაკი, მშვიდობის ქ. , 174	551203022; 595139229 laurusgeorgia@mail.ru	laurus.ge
შპს ფარკონი	საქართველო, ქუთაისი, კ. ხეთაგუროვის ქ. 22ა	597606267 592409191 alpaidze-1@yandex.ru alpaidze95@gmail.com	farconi.com.ge/ge/
შპს სორტა	საქართველო, სენაკი, ჭყონდიდელის ქ. 13ა	595323131 579559191 giorgi7519@gmail.com	
შპს გეოდაფნა	საქართველო, ზუგდიდი, ხუბულავას ქ. 14.	595515053 robert-janashia@mail.ru	
შპს ხეთა	საქართველო, ხობის რ-ნი, სოფ. ხეთა	599114346; 595514748 xeta-bia@mail.ru	
შპს ნასტი&იაკობი 2010	საქართველო, ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. 56	592070929; 597882414 irakli6634@gmail.com	
შპს მესხეთი 95	საქართველო, წყალტუბო, სოფ. მესხეთი55	5519910; 599272333; besolagadze@rambler.ru	
შპს ლიფლუქსი	საქართველო, ხელვაჩაური, სოფ. კაპრეშუმი	568716942 m.mgeladze@iset.ge	

მსოფლიოში თურქეთის შემდეგ საქართველო მეორე უდიდესი დაფნის ფოთლის ექსპორტიორი ქვეყანაა. საშუალოდ საქართველოს ყოველწლიურად საექსპორტოდ გააქვს 4000-5000 ტ. დაფნის გამომშრალი

ცხრილი 1.4.
ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტი (2016)

ქვეყანა	აშშ $	ტონა	ფასი/კგ
მსოფლიო	7,369.4	4,095.6	1.8
რუსეთი	4,011	2,021	2.0
თურქეთი	1,242	707.7	1.8
უკრაინა	1,104	676.3	1.6
ყაზახეთი	235.1	155.7	1.5
უზბეკეთი	194.4	231.2	0.8
ფილიპინები	138.6	73.6	1.9
ბელორუსი	58.6	26.6	2.2
ბულგარეთი	57.1	22.4	2.5
ტაჯიკეთი	46.0	40.9	1.1
ვიეტნამი	43.21	8.0	2.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ფოთოლი. საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან: რუსეთი, თურქეთი და უკრაინა, შემდეგ მოდის ყაზახეთი, უზბეკეთი, ფილიპინები, ბელორუსია, ტაჯიკეთი, ვიეტნამი და სხვა ქვეყნები.

ქართულ კომპანიებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია ხარისხის მოთხოვნების, ფასების, სავაჭრო პირობებისა და სხვა საბაზრო მოთხოვნების შესახებ. ექსპორტიორების უმრავლესობას არასდროს ჩაუტარებია პოტენციური საექსპორტო ბაზრის კვლევა, ამიტომ მათ არ აქვთ განსაზღვრული მარკეტინგული მიზნები და სტრატეგია. დაფნის ფოთლის ქართველი ექსპორტიორების აქტივობა საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში დაბალია. ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტიორი კომპანიების თანამშრომელთა უმეტესობას არ აქვს გაყიდვებისა და ექსპორტის განსახორციელებლად საჭირო უნარ-ჩვევები; ასევე ექმნება ენობრივი ბარიერი (თუ არ ჩავთვლით რუსულს) უცხოურ ბაზარზე მყიდველებთან კომუნიკაციისას. თითქმის არც ერთ კომპანიას არ გააჩნია ვებგვერდი ან აქვს ძალზე პრიმიტიული და მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყენებს პროფესიულ სავაჭრო ვებპორტალს.

ზოგადად, საქართველოს შეუძლია კარგი ხარისხის ნედლეულისა და კონკურენტული ფასების შეთავაზება საბოლოო პროდუქციაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ დაფნის ფოთლის სექტორს აქვს პოტენციალი, შევიდეს ახალ საექსპორტო ბაზრებზე, გარდა უკვე ნაცნობი პოსტსაბჭოთა ბაზრებისა.

რამდენიმე ქართველ მწარმოებელს, რომელთაც აქვთ თანამედროვე აღჭურვილობა და წარმოების დიდი მოცულობა, შეუძლია, აწარმოოს მაღალი ხარისხის დაფნის ფოთოლი. ეს აძლევს მათ ახალი საექსპორტო ბაზრების შესწავლისა და იმ ბაზრებზე გასვლის საშუალებას, რომლებსაც ესაჭიროებათ მაღალი ხარისხის პროდუქცია.

1.3.2 საექსპორტო ფასები

საქართველოში დაფნის გამომშრალი ფოთლის ფასები მერყეობს პროდუქციის კატეგორიის მიხედვით (HPS (ხელით მოკრეფილ და გადარჩეულ), SS (ნახევრად გადარჩეული), FAQ (საშ.ხარისხი), წვრილად დაჭრილი და დაფქული). წვრილად დაჭრილისა და დაფქული პროდუქციის, FAQ, SS -შემთხვევაში, ფოთლების ფასი მერყეობს 0,28 აშშ დოლარსა და 1,6 აშშ დოლარს შორის, 1 კგ-ზე (ქარხნიდან), ხოლო HPS-ს შემთხვევაში ფასები 1 კგ-ზე მერყეობს 2,2 დან 7,5 აშშ დოლარამდე. ფასების ცვალებადობა დამოკიდებულია ექსპორტიორსა და პროდუქციასთან დაკავშირებულ ბევრ სხვა ფაქტორზე (ფოთლის სიგრძე, ფერი, ზომა, ეთერზეთების შემადგენლობა, გატეხილი და დაზიანებული ფოთლების პროცენტული რაოდენობა, ფოთლებზე არსებული შავ/ყავისფერი ლაქების რაოდენობა და ღეროების რაოდენობა დაფნის გამომშრალი ფოთლის თითოეულ კილოგრამზე).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად, საქართველოდან საექსპორტო დაფნის ფოთლის საშუალო ფასი წლიდან წლამდე იზრდება.

1.3.3 ადგილობრივი მოთხოვნა

გრაფიკი 1.4.
დაფნის ფოთლის ფასები — 1 კგ-ზე (აშშ$)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაფნის ფოთლის გაყიდვების წილი საშინაო ბაზარზე, საერთო გაყიდვებთან შედარებით, ძალიან მცირე და უმნიშვნელოა. ადგილობრივ ბაზარზე ძირითადად შეუფუთავი, ნედლი, გამომშრალი დაფნის ფოთოლი იყიდება და მათი რაოდენობა არ ფიქსირდება. სანელებლების მწარმოებელი კომპანიები შეფუთული მთლიანი ან დაფქული დაფნის ფოთლებით ამარაგებენ დიდ სუპერმარკეტებსა და საცალო ქსელებს საქართველოში. საქართველოში შეფუთული სანელებლების (მათ შორის დაფნის ფოთლისა და დაფქული დაფნის ფოთლის) ძირითადი მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

ცხრილი 2.2.

1.3.4 იმპორტი

საიდენტიფიკაციო კოდი	კომპანია
202438451	შპს გეორგიტა 2008
205124346	შპს სმარტრითეილი
206334466	შპს იბერიაპროდუქტი
248435670	შპს ტურსა
404892425	შპს დაკო
404923749	შპს მაფჰიპერმარკეტსჯორჯია
445429402	შპს იალცინმარკეტი
448390214	შპს დორტელბათუმი
401946392	შპს დაბი
206204604	შპს გეო

დაფნის ფოთლის იმპორტი საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უმნიშვნელო იყო და მეტწილად მოიცავდა შეფუთულ დაფნის ფოთოლს ან შეფუთულ დაფქულ დაფნის ფოთოლს სხვა სანელებლებთან ერთად, რომლებიც იმპორტირებული ან რეექსპორტირებულია.

ცხრილი 1.2.

დაფნის გამომშრალი ფოთლის იმპორტი საქართველოში (2016)

ქვეყანა	აშშ $	ტონა	ფასი/კგ
მსოფლიო	1,600	1,600	1.000
რუსეთი	0,927	1,530	0,600
საბერძნეთი	0,488	0,027	18,374
არაბეთის გაერ. საემიროები	0,063	0,026	2,428
სხვა	0,076	0,061	2,748

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი 1.1.

დაფნის ფოთლის იმპორტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თავი2: დაფნის გამომშრალი ფოთლის ღირებულებათა ჯაჭვი

დაფნის ფოთლის მოსავლის აღებისა და წარმოების ძირითადი სეზონი სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარასა და კახეთში სექტემბერსა და აპრილ-მაისის შუალედშია. მიუხედავად ამისა, მცენარის ჯანსაღად შენარჩუნებისათვის ზოგადად რეკომენდებულია ფოთლების მოკრეფა ნოემბრისა და მარტის შუალედში. ფოთლების მოკრეფა უკვე შესაძლებელია სექტემბერში თუკი ზრდის პროცესი დამთავრებულია. ფოთლები, რომლებიც მოიკრიფა ზრდის პროცესში, დაბალი ხარისხისაა. კომპანიები აწარმოებენ სტაბილურად ხარისხიან პროდუქციას (ღუმელში გამომშრალი ფოთლები) და იყენებენ მხოლოდ იმ ფოთლებს, რომლებიც დაიკრიფა სექტემბრისა და მაისის შუალედში.

ფაქტობრივად, საქართველოში არც ერთი ფერმერი არ იყენებს სასუქებს დაფნის ფოთლის ხეებისათვის, არ არსებობს ერთობლივი ან ცალკეული საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც სერტიფიცირებულია ბიოლოგიურად სუფთა დაფნის ფოთლის მიწოდებაზე. მხოლოდ ერთმა მწარმოებელმა კომპანიამ დაიწყო საკუთარი პლანტაციის ბიოსერტიფიცირების პროცესი, კომპანია ფლობს დაფნის ფოთლის პლანტაციის 5 ჰა-სა და მიზნად ისახავს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სერტიფიკატის მიღებას 2017 წლის სექტემბრისათვის.

დაფნის ფოთლის მწარმოებელი კომპანიების უმეტესობა იღებს ნედლეულს მცირე საკარმიდამო ნაკვეთებიდან, რომელთაგან თითოეული დაახლოებით 2,5 ტ. დაფნის ნედლ ფოთოლს (ღეროებით) აწვდის. ზოგიერთი ფერმერი ჭრის ფოთოლს და ღეროებს ნედლი სახით აწვდის პირდაპირ მწარმოებელს. პირადი ავტომანქანით ან დაქირავებული მინი ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით, იმის მიხედვით, რა მოცულობისაა მისაწოდებელი ნედლეულის პარტია. ბოლო წლებში მცირე საკარმიდამო ნაკვეთებიდან რამდენიმე კოოპერატივი ჩამოყალიბდა. ეს კოოპერატივები მუშაობს სხვადასხვა პროდუქტზე, მათ შორის დაფნის ფოთოლზეც. მათი მიზანია, გააერთიანონ თავიანთი შესაძლებლობანი და ითანამშრომლონ პირდაპირ მწარმოებელთან. ამ დროისათვის კოოპერატივებმა საცდელად დაფნის ფოთლის მხოლოდ რამდენიმე მცირე პარტია მიაწოდეს მწარმოებლებს.

სხვა შემთხვევაში დაფნის ნედლ ფოთლებს და ღეროებს ჭრიან და მათ ყიდულობენ შუამავალი შემგროვებლები, რომლებიც აწვდიან ამ პროდუქტს სხვადასხვა მწარმოებელს მსუბუქი ან სატვირთო ავტომანქანებით ან მინიავტობუსებით, რაც დამოკიდებულია მოცულობაზე. ზოგიერთ კომპანიას ჰყავს საკუთარი თანამშრომლები და ტრანსპორტი, ისინი უწევენ ორგანიზებას ნედლი ფოთლების მოჭრას, შესყიდვასა და მიწოდებას საკარმიდამო ნაკვეთებიდან. რიგ შემთხვევებში, მაშინაც კი, როდესაც კომპანიებს ჰყავთ თავიანთი შემგროვებლები, ისინი პარალელურად თანამშრომლობენ შუამავალ შემგროვებლებსა და კერძო ფერმებთან, რომლებიც აწვდიან ნედლ ფოთლებსა და ღეროებს პირდაპირ საწარმოს. შუამავალი შემგროვებლები, რომლებიც აგროვებენ დაფნის ფოთოლს, მწარმოებელთათვის არიან ნედლეულის პირველადი წყარო. მწარმოებელი კომპანიების უმეტესობა ეყრდნობა რამდენიმე შუამავალ-შემგროვებელს, რომლებთანაც დიდი ხანია თანამშრომლობენ. ყველა მიმწოდებელთან სარგებლობენ ნაღდი ანგარიშსწორებით, რომელიც ხორციელდება ნედლეულის მიწოდების შემდეგ. მიწოდებისას მწარმოებლები ამოწმებენ ნედლეულის ვიზუალურ მხარეს და ტენიანობის მაჩვენებელს.

დაფნის ნედლი ფოთლისა და ღეროს უმეტესობა გამოიყენება ღუმელში გამომშრალი დაფნის ფოთლის საწარმოებლად. მიწოდების შემდეგ იწყება ნედლეულის გამოშრობა. ფოთლებსა და ღეროებს აცალკევებენ ან ხელით, ან ავტომატური მექანიზმების საშუალებითა და ამოწმებენ მის ხარისხს კლიენტის მოთხოვნების შესაბამისად.

ზოგიერთ შემთხვევაში ფერმერები დაფნის ფოთოლს ხეებიდან გვიან სეზონზე ჭრიან და აშრობენ, ვიდრე მწარმოებელს მიჰყიდიან. ზოგჯერ მწარმოებლები ასუფთავებენ და ამოწმებენ სახლის პირობებში გამომშრალ დაფნის ფოთლებს, მაგრამ ხშირად, როგორც საშუალო ხარისხის პროდუქტი, ისინი პირდაპირ იპრესება თერმოპლასტიკის შეფუთვაში და იგზავნება საექსპორტოდ. ჩვეულებრივ, სახლის პირობებში დაფნის გამომშრალი ფოთოლი დაბალი ხარისხისა და დაბინძურების მაღალი რისკის შემცველია და ხშირად საშუალო ხარისხის კატეგორიას მიეკუთვნება. მაშინ, როდესაც დაფნის ნედლი ფოთლის ფასი სტაბილურია, სახლის პირობებში გამომშრალი დაფნის ფოთლის ფასი დამოკიდებულია სეზონსა და თურქეთის მოთხოვნებზე.

მცირე კომპანიებს გააჩნიათ თავიანთი დაფნის ფოთლის პლანტაციები, რაც მათ საშუალებას აძლევთ, მიიღონ მაღალი ხარისხის ნედლეული უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ეს შესაძლებელია შემგროვებლებისა და ფერმერებისაგან ნედლეულის შესყიდვისას. ყველა კომპანიას, რომლებიც ამჟამად ფლობენ დაფნის ფოთლის პლანტაციას, ასევე სჭირდება ფერმერებსა და შემგროვებლებთან თანამშრომლობა ნედლეულის მიღების მიზნით, რადგან ვერცერთი კომპანია ვერ იღებს საკმარის ნედლეულს საკუთარი პლანტაციებიდან, ამიტომ დამოკიდებულია მესამე პირების ნედლეულზე.

დაფნის ფოთლის პლანტაციის გაშენება გულისხმობს მნიშვნელოვან ინვესტიციას კომპანიის მხრიდან. ეს

შეიძლება განვიხილოთ, როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია, რადგან დარგვიდან პირველი მოსავლის მიღებას დაახლოებით 6-7 წელიწადი სჭირდება, ხოლო პლანტაციის სრული მსხმოიარობისთვის 8-9 წელიწადია საჭირო. აგროპროექტი „დანერგე მომავალი“, რომელიც ინიცირებული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ (APMA) სახელმწიფო ბიუჯეტით განახორციელა, მხარს უჭერს და სთავაზობს მსურველებს თანადაფინანსებას მრავალწლიანი ბაღებისა და სანერგეების გასაშენებლად, თუმცა ამჟამად პროექტი არ ითვალისწინებს დაფნის პლანტაციების გაშენებას.

დიაგრამა 2.1.ნედლეულის წყარო

დაფნის ფოთლის ღირებულებათა ჯაჭვის სტრუქტურა

მწარმოებელს ნედლეულს (ნედლი ფოთლები და ღეროები) ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებიდან ფერმერები აწოდებენ, პირდაპირ დაფნის ფოთლის სახით ან შუამავალი შემგროვებლებისა თუ კოოპერატივების საშუალებით. დარჩენილი მიწოდების წილი იმ კომპანიებზე მოდის, რომლებიც ფლობენ პლანტაციებს. დაფნის ფოთლის შედარებით მცირე წილი იყიდება ადგილობრივ ბაზარზე ან მიეწოდება სანელებლების შემფუთავ კომპანიას, რომელიც დისტრიბუციას უწევს შეფუთულ სანელებლებს ადგილობრივ სუპერმარკეტებსა და სასურსათო მაღაზიებში. ნედლი ნედლეულის 90%-ზე მეტს აწარმოებენ დაფნის ფოთლის ექსპორტიორი კომპანიები, რომლებიც აწვდიან დაფნის გამომშრალ ფოთოლს სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა საექსპორტო ბაზარს. დაფნის ფოთლის მწარმოებელი/ექსპორტიორი კომპანიები რეგულარულად თანამშრომლობენ ლაბორატორიებთან წარმოების პროცესის დროს და მის შემდეგაც, რათა დარწმუნდნენ, რომ პროდუქციის ხარისხი პასუხობს კლიენტის მოთხოვნებს, ვიდრე განხორციელდება პროდუქციის ტრანსპორტირება მყიდველთან. რამდენიმე წამყვანმა ექსპორტიორმა და ახლად შექმნილმა კომპანიამ დაიწყო თანამშრომლობა უსაფრთხო კვების საკონსულტაციო კომპანიასთან, რათა დანერგონ საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის სტანდარტები. მათი მიზანია აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, გაზარდონ პროდუქციის ღირებულება და უპასუხონ განვითარებული ბაზრის მოთხოვნებს.

დიაგრამა 2.2. მიწოდების ქსელი



2.1. საექსპორტო პროდუქციის კატეგორიები

საქართველოში არსებული მაღალი ხარისხის ნედლეული კომპანიებს საშუალებას აძლევს, აწარმოონ მაღალი ხარისხის საბოლოო პროდუქტი. მიუხედავად ამისა, სხვა ფაქტორებიც მნიშვნელოვანია საბოლოო ხარისხის უზრუნველსაყოფად. ნედლეული ფრთხილად უნდა მიეწოდოს მწარმოებელს, რომელსაც უნდა გააჩნდეს ხარისხის შესამოწმებელი დანადგარები. დაფნის ფოთლის ექსპორტიორების უმრავლესობას არ აქვს თანამედროვე აღჭურვილობა და ამიტომ ვერ ზრდის ფასს ნედლეულზე. შესაბამისად, დაფნის ფოთლის მწარმოებლები აწარმოებენ უფრო საშუალო ხარისხის (FAQ) პროდუქტს, ვიდრე ხელით მოკრეფილსა და გადარჩეულს (HPS) ან ნახევრად შერჩეულს (SS).

რამდენიმე კომპანია, რომელთაც განახორციელეს ინვესტიცია დანადგარებსა და აღჭურვილობის განახლებაში, მეტწილად ორიენტირებულია მაღალ ხარისხზე (HPS და SS), ვიდრე საშუალო ხარისხის (FAQ, გრანულებისა და დაფქული) პროდუქციის წარმოებაზე.

ღუმელში გამომშრალი ფოთლები უმეტესად გამოიყენება მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაში. ძნელია, აწარმოო მაღალი ხარისხის პროდუქცია სახლში გამომშრალი ფოთლებისგან, რომლებსაც ახასიათებს ფერის ცვლილება (ხასხასა მწვანე, ყვითელი ან წითელი ტიპიურია დაფნის ფოთლისათვის), არომატის შემცირება და ასევე ალფა ტოქსინებისა და სხვა დაბინძურების მაღალი რისკი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კომპანია აწარმოებს და შემდეგ საექსპორტოდ გააქვს როგორც ღუმელში გამომშრალი, ისე სახლის პირობებში დაფნის გამომშრალი ფოთოლი, კლიენტისა და ქვეყნის მოთხოვნების შესაბამისად.

დაფნის ფოთლის შენახვის ვადა 2 წლამდეა, მაგრამ საუკეთესო თვისებებს ის მხოლოდ 6 თვე ინარჩუნებს. 6 თვის შემდეგ ფოთლები თანდათან კარგავს ეთერზეთების შემადგენლობას, არომატსა და ფერს (იღებს ღია მწვანე ფერს. იდეალურ შემთხვევაში დაფნის ფოთოლი უნდა შეინახოთ ბნელ, პირდაპირი მზის სხივებისგან დაცულ ადგილას, დაბალი ტენიანობისა და სიგრილის პირობებში).

2.2 წარმოების პროცესი

დაფნის ნედლი ფოთლისა და ღეროების მიღების შემდეგ ნედლეულს საშრობებში აშრობენ და საწყობში გზავნიან, სადაც ფოთლები იძენს საკმარის ტენიანობას ან ხელოვნურად ატენიანებენ მას ფოთლების მტვრევის თავიდან ასაცილებლად. ეს ფოთლები შემდგომ ცალკევდება ღეროებისაგან ავტომატური ან ნახევრად ავტომატური პროცესის საშუალებით (ზოგიერთ მწარმოებელს არ აქვს დანადგარები, ამიტომ სამუშაო მთლიანად ხელით სრულდება). შემდეგი საფეხური გულისხმობს ფოთლების მოთავსებას კონვეიერზე, სადაც ჰაერის წნევის საშუალებით ნედლეულს მტვრისა და სხვა ნაწილაკებისაგან ასუფთავებენ. შემდეგ პროდუქტი ხარისხდება დაზიანებულ, დამტვრეულ და მთლიან ფოთლებად. მთლიანი ფოთლები იგზავნება კალიბრატორში კონვეირული სისტემით, სადაც სხვადასხვა ზომების მიხედვით კალიბრირდება (გადაირჩევა). ზოგიერთმა კომპანიამ შეიძლება, გამოიყენოს დამატებითი დახარისხების, დასუფთავების ან კალიბრაციის მეთოდი, მათ შორის, ხელით გადარჩევის მეთოდიც, საბოლოო პროდუქტის ხარისხის ამაღლების მიზნით. ტენიანობის დონე ფოთლებში ხელახლა იზომება, დაზიანებული ან გატეხილი ფოთლები ჩვეულებრივ ქუცმაცდება ან იფქვება. ზოგჯერ დაზიანებული და გატეხილი ფოთლები იყიდება ისე, როგორც არის (უმეტესად დაპრესილი ტომრებში).

გადამოწმებული ფოთლები იყოფა სხვადასხვა ხარისხად და კატეგორიად (HPS, SS, და FAQ), იფუთება თერმოპლასტიკის, ქაღალდის ჩანთებსა და მუყაოს ყუთებში ან საცალო ვაჭრობისათვის. შეფუთულ პროდუქტს ეკვრება ეტიკეტი, კლიენტის მოთხოვნის ან იმპორტიორი ქვეყნის კანონის შესაბამისად და ინახება ბნელ ადგილას, სადაც არ ხვდება პირდაპირი მზის სხივები (ტენიანობა საწყობში უნდა იყოს დაბალი ან საშუალო, ხოლო ტემპერატურა - გრილი).

შეფუთული დაფნის ფოთლის დატვირთვისა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგების შემდეგ საქონელი იგზავნება დათქმულ ადგილას, რაზეც შეთანხმდნენ გამყიდველი და მყიდველი (ასევე შესაძლოა, გაიყიდოს პირდაპირ წარმოებიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველი პასუხისმგებელია საქონლის შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე საბოლოო დანიშნულების ადგილამდე). პროდუქტი უნდა იყოს 9%-მდე გამომშრალი ტრანსპორტირებამდე. ხანგრძლივი გადაზიდვების შემთხვევაში რეკომენდებულია ტემპერატურის მაკონტროლებელი ტრანსპორტის გამოყენება (ტემპერატურის კონტროლი სასურველია ზაფხულში, როდესაც პროდუქტი იგზავნება ცხელი კლიმატის ქვეყანაში. მაქსიმალურად დასაშვები ტემპერატურაა +15°).

ცხრილი 2.1.

დაფნის ფოთლის წარმოების პროცესი



2.3 სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების სერტიფიცირება საქართველოში

ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტიორთა უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გაუვლია აკრედიტაცია ისეთ საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორებიცაა HACCP, ISO 22000, IFS, BRC ან Global GAP, ეს სტანდარტები არ არის სავალდებულო, თუმცა მნიშვნელოვანია მყიდველისთვის და კონკურენციის თვალსაზრისით. საერთაშორისო სტანდარტების ნებაყოფლობით დანერგვა ზრდის იმ მწარმოებელთა სტატუსსა და კონკურენტუნარიანობას, რომლებსაც უნდათ ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ბაზრებზე შესვლა.

დაფნის ფოთლის მწარმოებელთა წამყვანი ექსპორტიორი კომპანიებიდან ძალიან ცოტა თუ პასუხობს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს. ზოგიერთი კომპანია მუშაობს, რათა მოიპოვოს HACCP და ISO 22000 2017 წლის ბოლოსათვის. საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება ძლიერი მარკეტინგული იარაღია, რომელიც შესაძლოა, მწარმოებელმა გამოიყენოს ახალი მყიდველების მოსაზიდად უფრო განვითარებული ბაზრებიდან (მაგალითად: ევროკავშირის, აშშ-ის, იაპონიის, სამხ.კორეის ბაზრები). ერთ-ერთი ქართული კომპანია, შპს „ქართული დაფნა" ფლობს 5 ჰა დაფნის ფოთლის პლანტაციას და 2017 წლის ბოლოსათვის ბიოსერტიფიცირებას გეგმავს. ამჟამად, საქართველოში 10-ზე მეტი კომპანია მუშაობს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სერტიფიკატის მისაღებად.

2.4. ლაბორატორიები

დაფნის ფოთლის ექსპორტიორები უმეტესად ვიზუალურად აფასებენ ნედლეულსა და საბოლოო პროდუქტს. მათ აქვთ აღჭურვილობა ნედლეულსა და საბოლოო პროდუქტში ტენიანობის შესამოწმებლად, მაგრამ არ გააჩნიათ საკუთარი ლაბორატორიები, რათა აკონტროლონ თავიანთი პროდუქციის შემადგენლობა და შესაძლო დაბინძურების ხარისხი. აქიდან გამომდინარე, ზოგიერთი წამყვანი ექსპორტიორი კომპანია რეგულარულად თანამშრომლობს ლაბორატორიებთან საქართველოში და საზღვარგარეთ. შპს „ქართული დაფნა" ამჟამად ერთადერთი კომპანიაა, რომელმაც განახორციელა ინვესტიცია საკუთარი ლაბორატორიული დანადგარების შესაძენად, ახლა მას შეუძლია, უფრო კვალიფიციურად შეამოწმოს არა მხოლოდ ტენიანობა, არამედ პროდუქტის ხარისხი და შემადგენლობა (მასში სოკოს, ბაქტერიებისა და სხვა დაბინძურების არსებობა).

შიდა ლაბორატორიული დანადგარების ნაკლებობა დაბრკოლებას უქმნის ხარისხის კონტროლის შემუშავებას. ქართული კომპანიების უმეტესობა მუშაობს საქართველოში აკრედიტებულ ლაბორატორიებთან და იღებს ლაბორატორიულ დასკვნებს. ეს დასკვნები ზოგჯერ გამოიყენება იმ სახელმწიფო სტანდარტის სერტიფიკატის მისაღებად, რომელსაც ითხოვს ზოგიერთი იმპორტიორი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან. ზოგიერთი კომპანია თანამშრომლობს საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ ლაბორატორიებთანაც, რომლებიც სთავაზობენ უფრო მრავალფეროვან მომსახურებასა და იმპორტიორების მხრიდანაც მეტი ნდობით სარგებლობენ.

ცხრილი 2.2.

ლაბორატორიები საქართველოში

სახელი	ლაბ. მისამართი	ტელ:	ელფოსტა	ვებგვერდი
ექსპერტიზა +	თბილისი, საქართველო	599970266 599972332	mziakharadze@yahoo.com	
შპს ნორმა	თბილისი, საქართველო	593321878	97norma@gmail.com	
მულტიტესტი	თბილისი, საქართველო	(032)2144848	multitest@wanex.net	
ხარისხის ლაბორატორია	თბილისი, საქართველო	(032)2147020 599 315515	info@qlab.ge	qlab.ge
შპს ეტალონი	თბილისი, საქართველო	599330551 (032)2615339	temoexpert@yahoo.com	etaloni.org

დაფნის ფოთლის სახ. სტანდარტი და . მახასიათებლები:
http://docs.cntd.ru/document/gost-17594-81
http://xn--d1aaclci1ak1m.xn--p1ai/document/5169578

ლაბორატორიები საქართველოს საზღვრებს გარეთ

სახელი	ლაბ. მისამართი	ტელ:	ელფოსტა	ვებგვერდი
ევროფინი	ლუქსემბურგი	+49 40881448471	info@eurofins.com ir@eurofins.com	eurofins.com
გელაბი	ჰამბურგი გერმანია	+49 403680 77449 +49 40 3680770	info@galab.de	galab.de
როემერი	გეტცერდირფი ავსტრია	+43 27828030	info@romerlabs.com	romerlabs.com
ალნუმედი	ბაირეიტი, გერმანია	+49 (0)92116497890	info@alnumed.com	alnumed.com

ნაწილი 2

ბაზრის კვლევა და შესაძლებლობების **განსაზღვრა**

Laurus nobilis

თავი3: დაფნის გამომშრალი ფოთლის საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა (წამყვანი მწარმოებელი ქვეყნები, იმპორტიორები და ექსპორტიორები)

3.1. მსოფლიო ბაზრის მიმოხილვა

სანელებლებისა და მცენარეების, მათ შორის, დაფნის ფოთლის მსოფლიო ბაზარი, ახლო მომავალში წლიურ 6,5 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბებს. საზოგადოებრივი კვების მომსახურებიდან, საშინაო სამზარეულოსა და მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სანელებლების მსოფლიო ბაზარზე შეიმჩნევა მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობების ზრდა. გარდა ამისა, ყველა სახის სანელებელსა და მცენარეს აქვს საკუთარი მიწოდება-მოთხოვნის დინამიკა. თითოეული მათგანის ტენდენცია განსხვავდება მწარმოებელი ქვეყნის, მსოფლიო ბაზრის სავაჭრო პირობების, ტენდენციებისა და ბაზრის მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

სანელებლების მსოფლიო ბაზარი 2019 წლამდე, ყოველწლიურად, სავარაუდოდ 5%-ით გაიზრდება. თუმცა ზრდა იქნება ნელი ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, იქიდან გამომდინარე, რომ სამრეწველო სექტორი აქ უკვე ჩამოყალიბებულია. სავარაუდოდ, ევროკავშირის ბაზარი დაფნის ფოთლისა და სხვა სანელებლებისათვის გააგრძელებს ზრდას, თუმცა უმნიშვნელოდ. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის ბაზარი სხვადასხვა სანელებლისათვის უფრო მიმზიდველი გახდეს, რაც გამოწვეულია ნახევარფაბრიკატებზე მოთხოვნის ზრდით.

მსოფლიო ბაზარი იმპორტირებული სანელებლებისა და კულინარიული მცენარეებისათვის დიდია, ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4 მლრდ.აშშ დოლარს. ისეთ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, როგორებიცაა მადაგასკარი, კომორის კუნძულების კავშირი და ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, გააჩნიათ თავიანთი წილი სანელებლების ექსპორტში. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან ძირითადად საექსპორტოდ გადის ვანილი, მიხაკი, ზაფრანა და იმბირი (ჯანჯაფილი).

2015 წელს შერჩეული პროდუქციის იმპორტიორთა სია

პროდუქტი: სანელებლები (სავაჭრო კოდი 091099) (წიწაკისებრთა ოჯახის მცენარეების გამოკლებით, ვანილი, დარიჩინი, დარიჩინის ხის ყვავილები, დარიჩინის ღერო, ჯავზი, ზაფრანა, ანისული თესლები, ბადიანი, კამა, ქინძი, ძირა, კვლიავი, ჯინჯერი, კურკუმინი და სხვადასხვა ტიპის სანელებლების ნარევი.

ცხრილი 3.1. დაფნის ფოთლისა და სანელებლების იმპორტიორთა სია - under HS Code 091099

იმპორტიორები	სავაჭრო ინდიკატორი			
	2015 იმპორტირებულის ღირებულება (ათასი აშშ $)	2015 იმპორტის რაოდენობა (ტონა)	ერთეულის ღირებულება აშშ $	მსოფლიო იმპორტის წილი (%)
მსოფლიო სულ	**731781**	**238878**	**3063**	**100**
საუდის არაბეთი	80954	20940	3866	11.1
აშშ	78919	22469	3512	10.8
გერმანია	43769	11073	3953	6
გაერთიანებული სამეფო	31513	8979	3510	4.3
კენია	21184	464	45655	2.9
დანია	19644	5886	3337	2.7
ბელგია	18542	4868	3809	2.5
საფრანგეთი	18512	3972	4661	2.5
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	17697	8647	2047	2.4
კანადა	16167	3734	4330	2.2
ნიდერლანდები	16101	3838	4195	2.2
იაპონია	15408	2533	6083	2.1
ესპანეთი	13604	4444	3061	1.9
მალაიზია	12660	5802	2182	1.7
თურქეთი	11618	7609	1527	1.6

წყარო: ITC Trademap

ცხრილი 3.2. დაფნის ფოთლის ექსპორტიორების ათეული - სავაჭრო კოდით 091099

	2012		2013		2014		2015	
იმპორტიორები	ტონა	აშშ $	ტონა	აშშ $	ტონა	აშშ $	ტონა	აშშ $
მსოფლიო სულ	257862	582561	278624	646462	251305	666336	278275	718776
ინდოეთი	118103	123317	139075	130861	99175	108733	127054	135328
თურქეთი	26718	76866	27962	96400	30722	10460	331194	104638
სამხ. აფრიკა	16228	40719	13472	42187	14413	42924	14858	46616
მალაიზია	6480	20692	4918	18481	5643	18221	7116	17261
ესპანეთი	3647	1605	55389	23648	5948	23947	6503	22022
აშშ	7092	29233	6079	26951	5693	27021	6180	29528
სირია	7692	7602	6007	6894	4379	5797	4719	7183
საუდის არაბეთი	3034	12490	2864	11820	4856	20474	4695	22137
საქართველო	3615	4796	3575	5118	4213	6680	4676	7994
ნიდერლანდები	3153	15698	3339	16805	4558	19749	4156	22191

წყარო: ITC Trademap

3.2. კონკურენცია

3.2.1 თურქეთი

თურქეთი ითვლება დაფნის ფოთლის წარმოებისა და ექსპორტის მსოფლიო ლიდერად. თურქეთი და საქართველო დაფნის ფოთლით ამარაგებენ და ირჩევენ ერთსა და იმავე ბაზრებს. შესაბამისად, თურქეთი საქართველოს ძირითადი კონკურენტია დაფნის ფოთლის საერთაშორისო ბაზარზე.

თურქეთი რჩება საქართველოსათვის დაფნის ფოთლის ერთ-ერთ უმთავრეს საექსპორტო ბაზრად. იგი ასევე ყიდულობს დაფნის ფოთოლს სირიაში. იმპორტირებული დაფნის ფოთოლი თურქეთს იმავე ხარისხისა და ფორმის თურქულ დაფნის ფოთოლთან ერთად დამატებითი ღირებულებით გააქვს რეექსპორტზე მსოფლიო მასშტაბით.

გრაფიკი 3.1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, თურქეთის წლიური ექსპორტი 2016 წელს 14 073.39 ტონა, საერთო ღირებულებით 40100.766 აშშ დოლარი იყო. თურქეთს 78 ქვეყანაში გააქვს პროდუქცია საექსპორტოდ: ვიეტნამი, აშშ, ბრაზილია, პოლონეთი, გერმანია, მალი, იაპონია, ფილიპინები, სენეგალი და რუმინეთი. ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარია ვიეტნამი (ითვლება, რომ ვიეტნამს რეექსპორტზე გააქვს თურქული დაფნის ფოთოლი აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ჩინეთი და სამხ. კორეა).

გრაფიკი 3.1.

თურქეთის დაფნის ფოთლის ექსპორტი 2016



წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

თურქეთი ასევე არის დაფნის ფოთლის ერთ-ერთი დიდი იმპორტიორი ქვეყანა. თურქეთში იმპორტირებული დაფნის ფოთოლი გადის გადამუშავების სხვადასხვა ციკლს და დამატებული ღირებულებით გადის რეექსპორტით სხვადასხვა განვითარებულ ბაზარზე. თურქეთი ასევე პირდაპირ რეექსპორტით აგზავნის საშუალო ხარისხის დაფნის ფოთოლს სხვადასხვა ბაზარზე, ყოველგვარი დამატებითი ღირებულების გარეშე. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის თანახმად, 2016 წელს დაფნის ფოთლის მთლიანმა იმპორტმა თურქეთში შეადგინა 1 678 ტ, რაც ღირებულებაში აისახა, როგორც 1 871 912 აშშ დოლარი. სირია და საქართველო წარმოადგენენ თურქეთისათვის დაფნის ფოთლის მსხვილ მიმწოდებლებს. დანარჩენი იმპორტი (სერბეთიდან, აშშ-დან, ვიეტნამიდან, რუმინეთიდან, პოლონეთსა და ნიდერლანდებიდან) გულისხმობს შეფუთულ სანელებლებს ან ექსპორტირებულ საქონელს, რომელიც დაბრუნდა.

გრაფიკი 3.3.

თურქეთის დაფნის ფოთლის იმპორტი 2016



წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

3.2.2 თურქეთის საშუალო ექსპორტ-იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით

თურქული დაფნის გამომშრალი ფოთლის ფასი მერყეობს პროდუქტის ხარისხიდან გამომდინარე (HPS, SS, FAQ, დაქუცმაცებული და დაფქული). საშუალოდ დაქუცმაცებული/დაფქული დაფნის ფოთლის ფასი წარმოების ადგილას შეადგენს 0,5 აშშ დოლარიდან - 1,7 აშშ დოლარამდე 1 კგ-ზე. საშუალო ხარისხის ფასი (FAQ და SS და HPS) მერყეობს 2 აშშ დოლარსა და 9,5 აშშ დოლარს შორის 1კგ-ზე. ფასი დამოკიდებულია ექსპორტიორსა და პროდუქტის სხვა მრავალ

ფაქტორზე. (ფოთლის სიგრძე, ზომა, ფერი, ეთერზეთების შემადგენლობა, პროცენტულად დამტვრეული და დაზიანებული ფოთლების რაოდენობა, შავი/.ყავისფერი ლაქებიანი ფოთლების რაოდენობა და 1კგ დაფნის ფოთოლზე ღეროების რაოდენობა).

ცხრილი 3.3.თურქეთის დაფნის ფოთლის საშუალო საექსპორტო ფასი ბაზრის მდებარეობიდან გამომდინარე

თურქეთის საშ. საექსპორტო ფასი (2016)	
ქვეყანა	აშშ დოლარი/კგ
მსოფლიო	2.8
ვიეტნამი	2.1
აშშ	3.9
ბრაზილია	2.7
პოლონეთი	4.7
გერმანია	3.8
მალი	2.6
იაპონია	5.2
ფილიპინები	2.3
სენეგალი	2.4
რუმინეთი	4.7

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

ცხრილი 3.4. თურქეთში დაფნის ფოთლის საშუალო იმპორტირებული ფასი მომწოდებელი ქვეყნების მიხედვით

თურქეთის საშ. საექსპორტო ფასი (2016)	
ქვეყანა	აშშ დოლარი/კგ
მსოფლიო	1.1
სირია	0.4
საქართველო	1.8
აშშ	2
ვიეტნამი	2.6
პოლონეთი	4.8
რუმინეთი	8
სერბეთი	4.1
ნიდერლანდები	1.8

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

თავი 4: პოტენციური მიზნობრივი საექსპორტო ბაზრის მიმოხილვა

არსებობს რამდენიმე ბაზარი, რომლებიც შესაძლოა, მიმზიდველი იყოს საქართველოს დაფნის ფოთლის მწარმოებლებისათვის, მათ შორის: ვიეტნამი, რუსეთი, უკრაინა, აშშ, გერმანია, პოლონეთი, იაპონია, ბრაზილია, ყაზახეთი და თურქეთი. ჩამოთვლილი ქვეყნების ბაზრებზე საქართველო ან არ არის წარმოდგენილი, ან ძალიან მცირე ადგილი უჭირავს აღნიშნული ქვეყნების იმპორტში. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ბაზარი ინტერესის ობიექტია ქართველი დაფნის ფოთლის მწარმოებელთათვის, ჩვენი 4 ბენეფიციარი კომპანიის ჩათვლით: შპს „ლიფლუქსი“, შპს „გეოპრიპრავა“, შპს „ქართული დაფნა“ და შპს „აგროლაინი“.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები და თურქეთი წარმოადგენენ 2 ყველაზე მიმზიდველ საექსპორტო ბაზარს დაფნის ფოთლისათვის. მათზე მოდის ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტის 95%. ამ ბაზრებზე ქართული დაფნის ფოთლის წარმატების ძირითადი მიზეზებია: გეოგრაფიული მდებარეობა, კომუნიკაციისა და ენობრივი ბარიერის სიმცირე, ქართული დაფნის ფოთლის ცნობადობის მაღალი ხარისხი, ბაზარზე შესვლის, საკანონმდებლო და მყიდველის მოთხოვნების სიმცირე.

ვიეტნამი, ერთი შეხედვით, ძალიან საინტერესო ბაზარია, რადგან დაფნის ფოთლის ერთ-ერთი დიდი იმპორტიორია მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, იმპორტირებული დაფნის ფოთლის საშუალო ფასი საკმაოდ დაბალია და ეს მიუთითებს იმაზე, რომ ძირითადად ითხოვენ საშუალო ხარისხის დაფნის ფოთოლს. ვიეტნამი აწარმოებს იმპორტირებული პროდუქციის უმეტესი ნაწილის რეექსპორტს ჩინეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებში. იმპორტიორები ჩინეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებში იყენებენ ვიეტნამს, რათა თავიდან აიცილონ იმპორტის გადასახადი. ზოგიერთი კომპანიის წარმომადგენელი საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს მდგომარეობა შესაძლოა, დროებითი იყოს.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან ვიეტნამში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
ვიეტნამი	2015	7264895	15480612	2.13
ვიეტნამი	2016	8673624	18642407	2.15

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

დაფნის ფოთლის ექსპორტი საქართველოდან ვიეტნამში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
ვიეტნამი	2015	0	0	0
ვიეტნამი	2016	18000	43200	2,40

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იაპონია ახორციელებს დაფნის ფოთლის მნიშვნელოვან იმპორტს თურქეთიდან ძალზე მიმზიდველ ფასად. დაფნის ფოთლის თურქი ექსპორტიორებისგან იაპონია ითხოვს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქტს. ბევრი ქართული ექსპორტიორისათვის რთული იქნება იაპონიის მიერ მოთხოვნილი ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილება. იაპონია ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელიც ყველაზე მკაცრს მოთხოვნებს აყენებს სანელებლებთან, კულინარიულ და სამედიცინო მცენარეებსა და ზოგადად საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ქართველი ექსპორტიორებისათვის რთულია იაპონელ მყიდველებთან მოლაპარაკებებისა და კომუნიკაციის წარმოება. ტერიტორიული სიშორე კიდევ დამატებითი ბარიერია, რომელიც პრობლემას უქმნის და აძვირებს საქმიანი შეხვედრების ორგანიზებას, გამოფენებზე მონაწილეობას და ნებისმიერი სახის ბიზნესკომუნიკაციას. ქართველი ექსპორტიორებისათვის არ იქნება მარტივი, შეაღწიონ იაპონურ ბაზარზე ახლო მომავალში დაფნის ფოთლის სექტორში არსებული შესაძლებლობით. დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ ქართული დაფნის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სურსათის უვნებლობის სერტიფიცირებისა და კონტროლისათვის, ვიდრე მიმართავენ ამ ბაზარს.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან იაპონიაში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
იაპონია	2015	250169	1157906	4.6
იაპონია	2016	233510	1214249	5.2

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

გერმანია ძალიან მიმზიდველი ბაზარია რაოდენობისა და ფასის თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა, გერმანიის ბაზარს სჭირდება ძირითადად პრემიუმ კლასის პროდუქცია (რომელიც საქართველოში წარმოებული დაფნის მცირე ნაწილს შეადგენს). გერმანელი შემსყიდველები უპირატესობას ანიჭებენ იმ სავაჭრო პარტნიორებს, რომლებსაც მომწოდებლებთან ურთიერთობის მდგრადი სისტემა აქვთ აწყობილი, ფლობენ ეკოლოგიურად სუფთა ან სურსათის უვნებლობის სერტიფიკატებს, განსაზღვრული აქვთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა. ამჟამად საქართველო ძალიან მცირე რაოდენობის ექსპორტს ახორციელებს გერმანიაში. ეს არის ბაზარი, სადაც ქართველი ექსპორტიორები ცდილობენ სამომავლოდ დაფუძნებას. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართული დაფნის ფოთლის სექტორისათვის რთული იქნება გერმანულ ბაზარზე შესვლა, რადგან ქართული დაფნის ფოთოლი არ არის მზად გერმანული ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან გერმანიაში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
გერმანია	2015	209919	954995	4.5
გერმანია	2016	337618	1277347	3.8

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

აშშ არ არის მიმზიდველი ბაზარი რაოდენობისა და ფასის თვალსაზრისით. იურიდიული მოთხოვნები ბაზარზე შესასვლელად შედარებით მაღალია და მყიდველის მოთხოვნები სურსათის უვნებლობის სერტიფიცირებასა და კონტროლზე, ასევე კორპორაციული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პოლიტიკა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც გერმანიაში. ქართული დაფნის ფოთლის მწარმოებლების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართველი ექსპორტიორები შევლენ აშშ ბაზარზე უახლოეს მომავალში. საქართველოსა და აშშ-ს შორის დიდი მანძილი იწვევს ღირებულების ზრდას. საქმიანი შეხვედრები რთულად დასაგეგმი და ძვირად ღირებული იქნება.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან აშშ-ში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
აშშ	2015	492323	1752139	3.6
აშშ	2016	738428	2900384	3.9

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

დაფნის ფოთლის ექსპორტი საქართველოდან აშშ-ში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
აშშ	2015	0	0	0
აშშ	2016	3	7.2	2.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბრაზილია: ბრაზილია დაფნის ფოთლის მნიშვნელოვანი რაოდენობის იმპორტს ახორციელებს, მაგრამ საშუალო ფასი არ არის მიმზიდველი. ბრაზილიის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მყიდველის მოთხოვნების შესახებ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია. ამასთან ერთად, გეოგრაფიული მდებარეობა ქართველი ექსპორტიორებისათვის საექსპორტო ბაზრის განვითარებას გაართულებს, გასათვალისწინებელია კულტურული და ენობრივი ბარიერებიც.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან ბრაზილიაში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
ბრაზილია	2015	513425	1400376	2.7
ბრაზილია	2016	412776	1109801	2.7

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

პოლონეთი: მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი დაფნის ფოთლის იმპორტიორია მოცულობისა და მიმზიდველი ფასის თვალსაზრისით. საქართველო ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი მის ბაზარზე. სხვა პოტენციურ საექსპორტო ბაზრებთან შედარებით, უნდა აღინიშნოს, რომ პოლონელი მყიდველი იცნობს საქართველოსა და ქართულ დაფნის ფოთოლს. უპირატესობაა გეოგრაფიული სიახლოვეც, რაც ამარტივებს შიდა და გარე გაყიდვებს ქართული და პოლონური კომპანიებისათვის. ასევე ნაკლებია საკომუნიკაციო ბარიერი პოლონელებსა და ქართველებს შორის. პოლონეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და მისი სურსათის უვნებლობის მოთხოვნები იმპორტირებულ დაფნის ფოთოლზე განისაზღვრება ევროკავშირის კანონმდებლობით, რომელიც საერთოა მის ყველა წევრ-ქვეყანაში. სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრია და მისი კონტროლი მნიშვნელოვნად იზრდება ევროკავშირის მასშტაბით. პოლონელ მყიდველებს შესაძლოა, არ ჰქონდეთ ისეთი მოთხოვნები, როგორიც გერმანელ მომხმარებელს, რაც უფრო აიოლებს ქართველი ექსპორტიორებისათვის პოლონურ ბაზარზე შესვლას, ვიდრე გერმანულ ბაზარზე გასვლას.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან პოლონეთში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
პოლონეთი	2015	523533	2537580	4.8
პოლონეთი	2016	348927	1654476	4.7

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

დაფნის ფოთლის ექსპორტი საქართველოდან პოლონეთში

ქვეყანა	წელი	ექსპორტი (კგ)	ექსპორტი (აშშ $)	საშ. იმპორტის ფასი 1კგ (აშშ $)
პოლონეთი	2015	8.7	19.1	2.2
პოლონეთი	2016	16.3	41.1	2.6

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

ოთხიდან სამ კომპანიას (შპს „ქართული დაფნა“, შპს „გეოპრიპრავა“ და შპს ლიფლუქსი“), რომლებთანაც EDA აწარმოებს ექსპორტის მოცულობის შეფასებას, გააჩნია პოლონელ იმპორტიორებთან თანამშრომლობის გამოცდილება. შპს „აგროლაინი“ არ არის წარმოდგენილი პოლონურ ბაზარზე. ზოგიერთი ამ კომპანიებიდან პირდაპირ აწარმოებს ექსპორტს, ზოგიერთი მოლაპარაკების ეტაპზეა და ზოგიც წარმოადგენს შუამავალს პოლონელ იმპორტიორსა და თურქ ექსპორტიორს შორის. ყველა მათგანი დაინტერესებულია, დაიმკვიდროს ადგილი პოლონურ ბაზარზე.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და ბაზრები (ბაჰრეინი, კვიპროსი, ირანი, ერაყი, ისრაელი, იორდანია, ქუვეითი, ლიბანი, ომანი, ყატარი, საუდის არაბეთი, სირია, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და იემენი) არც ერთი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არ შედის დაფნის ფოთლის იმპორტიორთა ათეულში და იმპორტის საშუალო ფასი 1 ტონაზე მერყეობს დაბალიდან საშუალომდე. მიუხედავად ამისა, ჯამურად მათი მოთხოვნა შესაძლოა, საინტერესო იყოს ქართველი ექსპორტიორებისათვის, მოცულობისა და საშუალო ფასის გათვალისწინებით. კომპანიები, რომლებიც მიზნად ისახავენ ისლამური ქვეყნების ბაზრებზე გასვლას, უნდა გაითვალისწინონ, რომ აუცილებელია ჰალალის სერტიფიკატის, ხოლო ისრაელისათვის ქოშერის სერტიფიკატი აღება.

დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან ახლო აღმოსავლეთში

	2015			2016		
ქვეყნები	კგ	აშშ $	საშ.ფასი 1კგ აშშ $	კგ	აშშ $	საშ.ფასი 1კგ აშშ $
სულ	164212	429364	2.6	172998	559772	3.2
არაბთა გაერთიანებული საემიროები	86700	203318	2.4	133284	327339	2.5
ქუვეითი	15380	70438	4.6	13100	56060	4.3
ლიბანი	11485	24472	2.1	9355	17743	1.9
ეგვიპტე	7000	16308	2.3	8000	17340	2.2
პალესტინა	1000	2170	2.2	0	0	0
ისრაელი	43410	111810	2.6	40891	109887	2.7
ერაყი	237	848	3.6	9259	31403	3.4

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

ევროკავშირის ბაზრის მოცულობა დაფნის ფოთლისა და სხვა სანელებლებისათვის.

ამ სტატისტიკაში შედის ევროკავშირის წევრი შემდეგი სახელმწიფოები: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო.

ევროკავშირის ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში დაფნის ფოთლისა და სხვა სანელებლებისათვის. ინტერნაციონალიზაციისაკენ უკუტენდენციამ და ეთნიკურ საკვებზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია ინტერესი სანელებლების მიმართ (მათ შორისაა დაფნის ფოთოლი). 2014 წელს ევროკავშირში იმპორტირდა 7,8 ტონა ბეგქონდარა და დაფნის ფოთოლი, სულ 33 მილიონი ევროს ღირებულების. 77% დაფნის ფოთოლი მოდის განვითარებადი ქვეყნებიდან, თურქეთის 72%-ის გათვალისწინებით. თურქეთი არის დაფნის ფოთლის ძირითადი მომწოდებელი ევროკავშირში. დაფნის ფოთლის მცირე რაოდენობა იწარმოება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში: საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია და კვიპროსი.

ევროკავშირში მყიდველთა უფლებები ტრადიციულად კარგადაა დაცული, მაგრამ მზარდი დეფიციტი და მაღალი ფასები იზიდავს მომწოდებელებს. სავარაუდოა, რომ ევროკავშირის ბაზარი სანელებლებისა და მცენარეებისათვის უფრო გაიზრდება. ამასთან, ევროკავშირი შესაძლებლობას აძლევს იმ მიმწოდებლებს, რომლებიც პასუხობენ მაღალ ხარისხსა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, განვითარებადი ქვეყნების მცირე და საშუალო ზომის წარმოებისათვის დაიკავონ ადგილი ბაზრის ზედა სეგმენტში.

ცხრილი 4.1
სავაჭრო კოდი: 091099 დაფნის ფოთლისა და სანელებლების იმპორტი ევროკავშირში

იმპორტიორები	სავაჭრო ინდიკატორი			
	2015 იმპორტირებულის ღირებულება ათასი აშშ $	2015 იმპორტის რაოდენობა (ტონა)	ერთეულის ღირებულება აშშ $	მსოფლიო იმპორტის წილი %
მსოფლიო სულ	731781	238878	3063	100
ევროკავშირი (EU 28)	233677	57824	4004	31.9
გერმანია	43769	11073	3953	6
გაერთიანებული სამეფო	31513	8979	3510	4.3
დანია	19644	5886	3337	2.7
ბელგია	18542	4868	3809	2.5
საფრანგეთი	18512	3972	4661	2.5
ნიდერლანდები	16101	3838	4195	2.2
ესპანეთი	13604	4444	3061	1.9
ავსტრია	11265	1949	5780	1.5
შვედეთი	11140	2119	5257	1.5
პოლონეთი	10046	2189	4589	1.4
იტალია	5539	1088	5091	0.8
პორტუგალია	5100	1199	4254	0.7
ირლანდია	4426	810	5464	0.6
რუმინეთი	3577	871	4107	0.5
ესტონეთი	2636	536	4918	0.4
ჩეხეთის რესპუბლ.	2568	567	4529	0.4
ლიტვა	2567	328	7826	0.4
საბერძნეთი	2340	764	3063	0.3
უნგრეთი	2108	694	3037	0.3
ლატვია	1812	435	3166	0.2
ფინეთი	1708	155	11019	0.2
ლუქსემბურგი	1532	246	6228	0.2
სლოვენია	1163	228	5101	0.2
ბულგარეთი	879	300	2930	0.1
სლოვაკეთი	627	127	4937	0.1
ხორვატია	474	77	6156	0.1
კვიპროსი	360	82	4390	0
მალტა	125	0	0	0

წყარო: ITC Trademap

ცხრილი 4.2
სავაჭრო კოდი: 091099 დაფნის ფოთლისა და სანელებლების ექსპორტი ევროკავშირში

იმპორტიორები	სავაჭრო ინდიკატორი			
	2015 იმპორტირებულის ღირებულება ათასი აშშ $	2015 იმპორტის რაოდენობა (ტონა)	ერთეულის ღირებულება აშშ $	მსოფლიო იმპორტის წილი %
მსოფლიო სულ	718838	278293	2583	100
ევროკავშირი (EU 28)	166832	28911	5770	23.2
გერმანია	39291	3592	10938	5.5
ნიდერლანდები	22191	4156	5340	3.1
ესპანეთი	22022	6503	3386	3.1
გაერთიანებული სამეფო	18214	4005	4548	2.5
საფრანგეთი	15727	1713	9181	2.2
პოლონეთი	11922	2819	4229	1.7
იტალია	9300	2307	4031	1.3
ავსტრია	6810	422	16137	0.9
ბელგია	5393	1088	4957	0.8
დანია	4603	704	6538	0.6
შვედეთი	2137	192	11130	0.3
რუმინეთი	1838	199	9236	0.3
ესტონეთი	1243	60	20717	0.2
ბულგარეთი	1202	297	4047	0.2
პორტუგალია	951	92	10337	0.1
ჩეხეთის რესპუბლ.	740	137	5401	0.1
საბერძნეთი	701	124	5653	0.1
ლატვია	630	202	3119	0.1
ლიტვა	602	130	4631	0.1
უნგრეთი	561	97	5784	0.1
სლოვაკეთი	355	32	11094	0
ხორვატია	208	21	9905	0
ირლანდია	66	7	9429	0
სლოვენია	43	4	10750	0
ლუქსემბურგი	35	3	11667	0
ფინეთი	33	3	11000	0
კვიპროსი	14	2	7000	0

წყარო: ITC Trademap

ცხრილი 4.3 დაფნის ფოთლის ექსპორტი თურქეთიდან ევროკავშირში

2015			2016		
ქვეყანა	აშშ $	კგ	ქვეყანა	აშშ $	კგ
ლატვია	17000	50525	პოლონეთი	348927	1654476
ავსტრია	53697	398264	გერმანია	337618	1277347
პოლონეთი	523533	2537580	ესპანეთი	116886	522224
გერმანია	209919	954995	ნიდერლანდები	100418	271586
რუმინეთი	150591	664071	ავსტრია	67679	517274
საფრანგეთი	56119	165576	გაერთიანებული სამეფო	64967	272072
უნგრეთი	24804	78948	ლიტვა	50810	137650
ხორვატია	1000	1667	ბელგია	40950	144257
ესპანეთი	118032	456628	ჩეხეთის რესპუბლ.	11400	93420
ნიდერლანდები	102021	233996	იტალია	22000	44950
იტალია	25810	52215	სლოვაკეთი	20250	76463
ლიტვა	61405	185842	ლატვია	19700	52833
საბერძნეთი	14530	64433	უნგრეთი	18052	67475
გაერთიანებული სამეფო	56281	309201	ბულგარეთი	12606	37871
ბულგარეთი	7300	16135	საბერძნეთი	12030	65055
სლოვაკეთი	15000	53585	პორტუგალია	6600	22566
პორტუგალია	12000	30507	შვეიცარია	5019	18627
ბელგია	42751	215658	საფრანგეთი	79551	251470
დანია	480	9289	ხორვატია	1300	3950
ჩეხეთის რესპუბლ.	11255	65444	დანია	364	7075
შვედეთი	50	171	მალტა	360	1052
მალტა	220	831	რუმინეთი	162505	766736
			შვედეთი	254	2266

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

ცხრილი 4.4 დაფნის ფოთლის ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში

2015			2016		
ქვეყანა	აშშ $	კგ	ქვეყანა	აშშ $	კგ
სულ	80,800	35,200	სულ	167,000	67,900
პოლონეთი	19,147	8,650	პოლონეთი	41,072	16,000
ლატვია	35,066	15,090	ლატვია	34,183	14,001
ბულგარეთი	13,160	5,264	ბულგარეთი	57,063	22,400
უნგრეთი			უნგრეთი	13,211	6,000
ესპანეთი	13,403	6,200	ესპანეთი	21,453	9,500

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 4.5

საქართველოსა და თურქეთის დაფნის ფოთლის ექსპორტი ევროკავშირში : 2015 – 2016			
ქვეყანა	ტონა	აშშ $	საშ. იმპორტის ფასი
თურქეთი	3004	12904256	4295,6
საქართველო	103	247800	2403,4

წყარო: თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საბაზრო არხები და სეგმენტები ევროკავშირში (EU)

სანელებლებსა და მცენარეებზე მოთხოვნა შესაძლოა, დაიყოს სამ სეგმენტად: საწარმოო, კვების მომსახურების სექტორი და საცალო სექტორი. ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნის წილი საწარმოო სექტორში პროპორციულად ყველაზე დიდია და უდრის 55-60%-ს სანელებლებისა და მცენარეების მთლიანი მოხმარებიდან, საცალო სექტორის მოთხოვნა შეადგენს 35-40%-ს, ხოლო კვების სექტორისა - 10-15%-ს.

Visual presentation of market channels for spices (including bay leaves)



Thickness of arrow indicates the importance of trade flow for exporters from developing countries (from low to high)

low ***high***

წყარო: CBI

4.1. ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მოთხოვნები

სურსათის უვნებლობა ევროკავშირის სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ევროკავშირის ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ზოგადი კანონის შესახებ სურსათსა და საქონლის საკვებთან დაკავშირებული კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ცალკეული წევრი ქვეყნებისათვის. მასში განსაზღვრულია ის **მთავარი პრინციპები, მოთხოვნები და პროცედურები,** რომლებიც საფუძვლად უდევს სურსათისა და საქონლის საკვების უვნებლობის საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებას სურსათისა და საქონლის საკვების წარმოებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

სურსათის უვნებლობის გარანტირებისა და სახიფათო სურსათის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპორტირებული სუნელები და არომატული მცენარეები მიკვლევადი უნდა იყოს მიწოდების მთელი საწარმოო ჯაჭვის მასშტაბით, რაც შეამცირებს დაბინძურების რისკს. ეს ნიშნავს, რომ მიწოდების ჯაჭვის ყველა მხარე უფრო მეტად უნდა გა-

ერკვეს, საიდან მოდის პროდუქტი, უნდა შეეძლოს ინ-ფორმაციის მიწოდება და დოკუმენტაციის წარმოება.

სურსათთან დაკავშირებული საფრთხეების კონტროლის მნიშვნელოვანი ასპექტია კრიტიკული საკონ-ტროლო წერტილების (HACCP) დადგენა სურსათის მართვის პრინციპების განხორციელების საშუალე-ბით. ევროპელი მომხმარებლები ხშირად ითხოვენ, რომ მიმწოდებელმა გამოიყენოს HACCP-ის პრინცი-პზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა.

ევროკავშირში სურსათის ექსპორტირებისას კომპანი-ები უნდა აკმაყოფილებდნენ იურიდიულად სავალდე-ბულო შემდეგ მოთხოვნებს:

სუნელებისა და არომატული მცენარეების (დაფნის ფოთლის ჩათვლით) დაბინძურება

დამაბინძურებელი ნივთიერებები შეიძლება გაჩნდეს პროდუქციის მოყვანის, დამუშავების, შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის სხვადასხვა ეტაპზე. დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელებული სახეობებია:

პესტიციდები

ევროკავშირში დადგენილია პესტიციდების ნარჩენე-ბის მაქსიმალური დასაშვები დონე საკვებ პროდუქ-ტებში და პროდუქტებზე. ეს ასპექტი მკაცრად რეგუ-ლირდება. კანონმდებლობაში გათვალისწინებულია მარტო პესტიციდებთან დაკავშირებული დაახლოე-ბით 1100 ნივთიერება. ზოგადად პესტიციდების მაქ-სიმალური დასაშვები დონე შეადგენს 0.01 მგ/კგ-ზე. არალეგალური პესტიციდების ან დასაშვებ დონეზე მეტი ოდენობის პესტიციდების შემცველ პროდუქტებს ამოიღებენ ევროკავშირის ბაზრიდან. პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურ დასაშვებ დონეზე მეტ პესტი-ციდების ნარჩენებს შეიცავს, ვერ შევა ევროკავშირის ბაზარზე. ევროპელი მომხმარებლების პრობლემა ის არის, რომ მსოფლიოში არსებული მრავალი სუნელი და არომატული ბალახი ვერ აკმაყოფილებს ევრო-კავშირის მიერ დადგენილ ნორმებს. აქედან გამომდი-ნარე, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. ევრო-კავშირის სუნელებისა და არომატული მცენარეების ინდუსტრია ატარებს ფართომასშტაბიან ტრენინგებს მიმწოდებლებისთვის პესტიციდების უსაფრთხო გა-მოყენების საკითხებში. მეტიც, მსხვილი სუპერმარკე-ტები აწესებენ კანონმდებლობაზე უფრო მკაცრ - სტან-დარტებს (პრაქტიკის კოდექსი) პესტიციდებთან და-კავშირებით. ექსპორტიორებს მოუწევთ სუპერმარკე-ტების ამ სტანდარტების დაკმაყოფილება.

მიკოტოქსინები

ექსპორტიორებმა არ უნდა დაუშვან პროდუქციაში ბი-ოლოგიური რისკების (მიკროორგანიზმების), აფლა-ტოქსინებისა და მძიმე ლითონების არსებობა. აფლა-ტოქსინების მაქსიმალური დასაშვები დონეა 5.0 მიკ-როგრამი/კგ-ზე B1 აფლატოქსინისთვის და 10 მგ/კგ-ზე აფლაქტოსინების მთლიან შემცველობაზე (აფლა-ტოქსინები B1, B2, G1 და G2). ოქრატოქსინი A-ს (OTA) მაქსიმალური დონე შეადგენს 15 მიკროგრამს/-კგ-ზე.

სალმონელა

ბოლოდროინდელი კვლევა გვიჩვენებს, რომ აშშ-ში ექსპორტირებული სუნელების 7% სალმონელათია დაბინძურებული. გარდა ამისა, 79 ქვეყნიდან, რომ-ლებშიც განხორციელდა მონიტორინგი, 37 ქვეყანას აღმოაჩნდა სალმონელას პრობლემა. სალმონელა აღმოჩენილია რეჰანში, შავ და თეთრ პილპილში, ორეგანოში, ტკბილ წიწაკაში, ცხარე წიწაკაში, ქინძში, ძირასა და კერის ფხვნილში. შესაბამისად, სალმონე-ლა სერიოზული და ფართოდ გავრცელებული პრობ-ლემაა ევროპელი მომხმარებლებისთვისაც.

ევროკავშირის კანონმდებლობაში არ არსებობს სპე-ციალური მოთხოვნები სუნელებისა და არომატული მცენარეების სალმონელათი დაბინძურებასთან და-კავშირებით. თუმცა სურსათის ძირითადი კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე შე-ტანილი სურსათი უსაფრთხო უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, ბიზნესოპერატორები ამოწმე-ბენ სუნელებსა და არომატულ მცენარეებს სალმონე-ლას აღმოსაჩენად. სურსათის უვნებლობაზე პასუხის-მგებელ ორგანოებს შეუძლიათ, სალმონელათი და-ბინძურებული სურსათი ამოიღონ ევროპის ბაზრები-დან ან არ დაუშვან ამ პროდუქტების ევროპის ბაზარზე შეღწევა.

პოლიციკლური არომატული ნახშირწყალ-ბადები

2015 წელს ევროკავშირში მიიღეს ახალი კანონი, რომელიც განსაზღვრავს პოლიციკლური არომატუ-ლი ნახშირწყალბადების ზღვრულ ოდენობას. ეს ქიმი-ური ნივთიერებები წარმოიქმნება ნახშირის, ნავთო-ბის, ბუნებრივი აირის, ნაგვისა და წიაღისეული საწ-ვავის არასრული წვის შედეგად.

პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები აღ-მოჩნდა გამხმარ არომატულ მცენარეებსა და სუნე-ლებში მათი არასწორი გამოშრობის შედეგად. მაგა-ლითად, ცეცხლით გაშრობის დროს პროდუქტი შეიძ-ლება დაბინძურდეს პოლიციკლური არომატული ნახ-შირწყალბადებით. დაფნის ფოთლებში ყველაზე ხში-რად გვხვდება ბენზოპირენები. თითოეული ბენზოპი-რენის დასაშვები დონე შეადგენს მაქსიმუმ 10 მიკრო-გრამს/კგ-ზე და მთლიანად მაქსიმუმ 50 მიკროგრამს/-კგ-ზე.

დასხივება [H4]

მიკროორგანიზმებით, ვირუსებით, ბაქტერიებითა და მწერებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად დაშვებულია გამხმარი სუნელებისა და არომატული მცენარეების, მათ შორის, დაფნის ფოთლების დასხივება.

დასხივება ნაკლებად ცვლის მცენარეების გემურ თვისებებს, ვიდრე ორთქლით სტერილიზაცია. მიუხედავად ამისა, ბევრი ევროპელი მომხმარებლისთვის დასხივება მიუღებელია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გამყიდველმა და მყიდველმა შეათანხმონ დამუშავების ფორმა.

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, პროდუქტის დასხივება ოფიციალურად უნდა იყოს დეკლარირებული მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე. დასხივება დაშვებულია მხოლოდ ევროკავშირის მიერ დამტკიცებული დასხივების დანადგარებით. სხვა ქვეყნებში (მაგალითად, აშშ-ში) ნაკლებ სიმკაცრეს იჩენენ დასხივების მიმართ.

საკვები დანამატები და ფალსიფიკაცია

ზოგიერთი სუნელი, არომატული მცენარე ან მათი მინარევები შეიძლება შეიცავდეს ხელოვნურ საღებავს, არომატიზატორებს ან დამატკბობლებს. ევროკავშირში არსებობს სპეციალური კანონი საკვები დანამატებისა (მაგ. მღებავი და შემასქელებელი ნივთიერებები) და არომატიზატორების შესახებ. მასში ჩამოთვლილია E-ნომერი ნივთიერებები, რომელთა გამოყენებაც დაშვებულია. საბაჟოზე შეჩერებული ან მომხმარებლების მიერ დაწუნებული სუნელებისა და არომატული მცენარეების დიდ ნაწილს ან არადეკლარირებული მინარევები აქვს, ან დანამატების (მაგ. მღებავი და შემასქელებელი ნივთიერებები) შემცველობა აღემატება მაქსიმალურ ზღვრულ დონეს.

სუნელები და სუნელების ნარევები არ უნდა შეიცავდეს მღებავ ნივთიერებებს. სუნელებსა და არომატულ ნივთიერებებს, რომლებიც შეიცავენ არალეგალურ ხელოვნურ მღებავ ნივთიერებებს (აზოსაღებავები სუდან I, ტარტრაზინი, დიმეთილამინოაზობენზოლი), დაიწუნებს და გაანადგურებს ევროკავშირის საბაჟო. შესაძლებელია, ეს ნივთიერებები დაშვებული იყოს საკვები პროდუქტის წარმოშობის ქვეყანაში, მაგრამ ისინი აკრძალულია ევროკავშირში.

სუნელები და სუნელების ნარევები (განსაკუთრებით დაფქული და დაქუცმაცებული) შეიძლება, განზრახ გაყალბდეს სხვა, უფრო იაფფასიანი, სახეობებით - მარილის, ქვიშის, სინთეტიკური ნივთიერებებისა და მსგავსი გარეგნობის მქონე პროდუქტებით. განზრახ ფალსიფიცირების (რაც სერიოზული დარღვევაა) მიზეზია ეკონომიკური მოგება. ასევე შეიძლება არაგანზრახ ფალსიფიცირებაც (მაგ. სასუქების ან მწერების გამო).

საკვები პროდუქტების ფალსიფიცირება სერიოზული პრობლემაა ევროპელი მომხმარებლებისთვის. ამ კვლევის პერიოდში, ექსპერტებთან ჩატარებული კონსულტაციების საფუძველზე, დადგენილია, რომ სუნელებსა და არომატულ მცენარეებში ხშირია ამ ტიპის ფალსიფიკაცია. ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნების მთავრობები სულ უფრო ამკაცრებენ საკვები პროდუქტების ფალსიფიკაციის მონიტორინგს.

წყაროები:

CBI განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი www.cbi.eu

ევროკავშირის ექსპორტის დახმარების სამსახური http://exporthelp.europa.eu/thdapp/index.htm

ევროპის სუნელების ასოციაცია www.esa-spices.org

ეტიკეტირება (ევროკავშირი)

წინასწარ დაფასოებული სუნელები და არომატული მცენარეები უნდა პასუხობდეს ევროკავშირის ეტიკეტირების მკაცრ მოთხოვნებს სურსათის ეტიკეტირების, პრეზენტაციისა და რეკლამირების მიმართ. ალერგენებთან დაკავშირებული კანონმდებლობის თანახმად, წინასწარ შეფუთულ საკვებ პროდუქტებზე გარკვევით უნდა აღინიშნოს, შეიცავენ თუ არა ისინი ალერგენებს.

ეტიკეტირების მოთხოვნებთან შესაბამისობა და ეტიკეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე შეიძლება, დისტრიბუციის ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე (მაგ. განბაჟება, საბითუმო ან საცალო დისტრიბუტორების საწყობები) შემოწმდეს.

ეტიკეტის შინაარსი უნდა იყოს, სულ მცირე, ეროვნულ ენაზე და შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობის სპეციფიკურ მოთხოვნებს სხვადასხვა ტიპის პროდუქციისთვის.

სურსათის ეტიკეტირების ზოგადი წესები (ევროკავშირი)

ქვემოთ ჩამონათვალში მოცემულია ძველი და ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები იმ სავალდებულო ინფორმაციაზე, რომელიც უნდა ახლდეს საბოლოო მომხმარებლისთვის მისაწოდებელ სურსათს:

საკვები პროდუქტის დასახელება - საკვები პროდუქტის დასახელება უნდა იყოს მისი იურიდიული სახელი. ის არ უნდა შეიცვალოს იმ სახელით, რომელიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებით, ბრენდის ან გამოგონებული სახელით.

ნეტო მოცულობა - უნდა გამოიხატოს მასის ერთეულებში (კილოგრამი, გრამი).

ვარგისიანობის ვადა - ეს უნდა იყოს საბოლოო თარიღი, ვიდრე საკვები პროდუქტი ინარჩუნებს სპეციფიკურ თვისებებს სათანადოდ შენახვის შემთხვევაში. თარიღი შედგება დღისგან, თვისა და

წელიწადისგან, რომლებიც უნდა მიუთითონ ამ თანამიმდევრობით და ერთვოდეს ფრაზა: **„ვარგისია . . . -მდე“ ან „ვარგისია . . . .-ის ბოლომდე“.** თუ პროდუქტი მალფუჭებადია და შესაბამისად, მოკლე ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება, სერიოზული საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, ზემოაღნიშნული ფრაზები უნდა შეიცვალოს ფრაზებით **„გამოიყენეთ . . . -მდე“.**

შენახვის პირობები ან გამოყენების პირობები - თუ საკვებ პროდუქტს სჭირდება შენახვა ან გამოყენების სპეციალურ პირობები, ეს პირობები აუცილებლად უნდა მიეთითოს. საჭიროებისამებრ, უნდა მიეთითოს შეფუთვის გახსნის შემდეგ პროდუქტის შენახვის ან გამოყენების პირობები და/ან ვადები.

წარმოშობის ქვეყენა და ადგილი - ამ მონაცემების მითითება სავალდებულოა:

- მათი მიუთითებლობის შემთხვევაში მომხმარებელი შეიძლება მოტყუვდეს საკვები პროდუქტის წარმოშობის ქვეყანასა და ადგილთან დაკავშირებით;
- თუ წარმოშობის ქვეყანა ან ადგილი განსხვავდება ძირითადი ინგრედიენტის წარმოშობის ქვეყნისა ან ადგილისგან, ის აუცილებლად უნდა მიეთითოს.

მოხმარების ინსტრუქციები - საკვებ პროდუქტზე უნდა მიეთითოს მოხმარების ინსტრუქცია მისი სათანადო მოხმარების უზრუნველსაყოფად.

პარტიის აღნიშვნა - ამ აღნიშვნის საშუალებით მომხმარებელმა უნდა შეძლოს საკვები პროდუქტის პარტიის დადგენა. ეს აღნიშვნა უნდა დაიტანოს წინასწარ შეფუთულ საკვებ პროდუქტებზე წინ ასო “L”-ის მითითებით.

კვებითი ღირებულება

სავალდებულო ინფორმაცია:

- ენერგეტიკული ღირებულება
- ცხიმების, ნაჯერი ცხიმების, ნახშირწყლების, შაქრების, ცილებისა და მარილის შემცველობა.

არასავალდებულო ინფორმაცია:

- უჯერი ცხიმები
- პოლიუჯერი ცხიმები
- მაღალმოლეკულური სპირტი
- სახამებელი
- უჯრედისი
- ვიტამინები ან მინერალები

დანართი 1:

მოკვლეული მონაცემები და ევროკავშირის ბაზარზე გასვლის რეკომენდაციები (პოტენციური სამიზნე საექსპორტო ბაზარი)

რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის მოთხოვნების თაობაზე

ევროპის სუნელებისა და არომატული მცენარეების ბაზარზე მკაცრი მოთხოვნებია პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის მიმართ. ამასთან ერთად, განვითარებადი ქვეყნების მიმწოდებლებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მდგრადობასთან დაკავშირებული კანონით არასავალდებულო მოთხოვნები. საკვები პროდუქტები, რომლებიც შეიცავს დამაბინძურებელ ნივთიერებებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ოდენობით და განსაკუთრებით ტოქსიკოლოგიურ დონეზე, არ უნდა გაიტანონ ევროკავშირის ბაზარზე. საქართველოს ექსპორტიორ კომპანიებს უნდა ახსოვდეთ, რომ ევროკავშირის მრავალ წევრ-ქვეყანაში მოქმედებს სურსათის უვნებლობის დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება, ოდნავ განსხვავდებოდეს საერთო მოთხოვნებისგან.

საკვებ პროდუქტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონტროლი

დამაბინძურებელი ნივთიერებები შეიძლება მოხვდეს დაფნის ფოთლებში წარმოების, შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სხვადასხვა ეტაპზე, ან ეს გამოიწვიოს გარემოს დაბინძურებამ.

პესტიციდები:

ექსპორტიორმა კომპანიებმა არ უნდა მოახდინონ ნარჩენების ან მათი დადგენის ზღვრული სიდიდეების (მაგალითად, ტესტირებისას ცდომილების ზღვარი) ინტერპრეტაცია. მათ მომხმარებლებთან ერთად დეტალურად უნდა განიხილონ, რა ზღვრული ოდენობებია მისაღები.

ექსპორტიორმა კომპანიებმა შეიძლება, ისარგებლონ ევროკავშირში მაქსიმალური დასაშვები დონეების (MRL) მონაცემთა ბაზით, რომელშიც შეტანილია ყველა ჰარმონიზებული მაქსიმალური დასაშვები დონე. ამ მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია დაფნის ფოთლებთან დაკავშირებული მონაცემების მოძიება:
http://ec.europa.eu/food/plant/pesticides/eu-pesticidesdatabase/public/?event=product.resultat&language=EN&selectedID=175

პესტიციდების დონის შესამცირებლად, ექსპორტიორი კომპანიები ხელს უწყობენ მავნებლებთან ბრძოლის კომპლექსური მეთოდების დანერგვას იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომლებთანაც ისინი თანამშრომლობენ. ეს მეთოდები სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის სტრატეგიაა, რომელიც დამატებით მოიცავს წარმოების სათანადო მეთოდებსა და ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენებას.

სალმონელა

სალმონელა შეიძლება, ყველა ეტაპზე გაჩნდეს: დაფნის მოყვანის, მოსავლის აღების, დამუშავების, შენახვის, შეფუთვისა და გაყიდვის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, მოყვანის, მოსავლის აღებისა და დამუშავების დროს უმნიშვნელოვანესია წარმოებისა და ჰიგიენის სათანადო პრაქტიკის დაცვა და HACCP პრინციპების გამოყენება.

ევროკავშირში მომხმარებლების დიდი ნაწილი მოითხოვს პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების ტესტირების აქტს. ამ მომსახურების საშუალებით საქართველოს ექსპორტიორ კომპანიებს გაუადვილდებათ მომხმარებლის პოვნა ევროკავშირში.

ევროკავშირში სალმონელასა და სხვა მიკრობიოლოგიურ დაბინძურებებთან ბრძოლის მეთოდებს შორის უპირატესია ორთქლით სტერილიზაცია. შესაძლოა, ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის ეს მომსახურება ძვირად ღირებული იყოს, მაგრამ ამით ისინი მნიშვნელოვნად გაზრდიან თავიანთი პროდუქციის ფასს. გამოსავალი შეიძლება იყოს ადგილობრივ სანდო მომსახურების პროვაიდერებთან თანამშრომლობა.

ექსპორტიორმა კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ პროდუქციის სისუფთავე: ლითონებისა და ქვების აღმოჩენა, ცხოველების ფეკალიების მოხვედრის თავიდან აცილება გამოშრობის პროცესში. ევროპელი მომხმარებლები აფასებენ წმენდისა და დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით გატარებულ მაღალი დონის ზომებს.

საკვები დანამატები და ფალსიფიკაცია

თუ ექსპორტიორი კომპანია იყენებს დანამატებს, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აღნიშნული დანამატები კანონიერია და შეთანხმებული მომხმარებლებთან. დანამატები უნდა მიეთითოს ინგრედიენტების ჩამონათვალში.

მომხმარებელს არ შეუძლია სუნელების ანალიზი ყველა შესაძლო უცხო ნივთიერებაზე. შესაბამისად, მომხმარებლები ერიდებიან ევროკავშირის საზღვ-

რების გარედან შემოტანილი დამუშავებული სუნელებისა და არომატული მცენარეების ყიდვას ან ყიდულობენ მათ მხოლოდ სანდო მიმწოდებლისგან. ქართულმა ექსპორტიორმა კომპანიებმა უნდა შეიძინონ წარმატებული მუშაობის გამოცდილება, უზრუნველყონ გამჭვირვალობა და შეასრულონ რეკომენდაციები, თუ სურთ ევროკავშირის ბაზარზე წარმატებული მოღვაწეობა.

დანამატების, ფერმენტებისა და არომატიზატორების შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ევროკავშირის ვებგვერდზე:

http://ec.europa.eu/food/safety/food_improvement_agents_en

ეტიკეტირება

ექსპორტიორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ჯვარედინი დაბინძურების რისკს კომპანიის ან მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში. ჯვარედინი დაბინძურება შეიძლება აღინიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა პროდუქტი განზრახ ან არაგანზრახ ერევა ერთმანეთს მოსავლის აღების, დამუშავებისა და ტრანსპორტირების დროს. ექსპორტიორებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ გლუტენის შემცველი მარცვლეულით, მიწის თხილით, თხილით, ნიახურით, მდოგვით, სეზამის მარცვლებით ან მათგან დამზადებული პროდუქტებით დაბინძურების მიმართ.

ეექსპორტიორებმა უნდა აცნობონ მომხმარებელს მათი პროდუქტი თუ შეიცავს ალერგენებს. ეს აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსპორტიორი არ ახორციელებს პროდუქტის საბოლოო შეფუთვას. ნაყარი ფორმით მიწოდებული პროდუქტის შემთხვევაში მას უნდა ახლდეს ინგრედიენტების ჩამონათვალი ეტიკეტზე ან კომერციულ დოკუმენტაციაში.

რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით

სურსათის უვნებლობის ნებაყოფლობითი სერტიფიცირება, როგორც გარანტია

კანონით სავალდებულო მოთხოვნების გარდა, ექსპორტიორებმა ასევე უნდა დააკმაყოფილონ კანონით არასავალდებულო მოთხოვნები, რაც შეიძლება იყოს შერჩევის კრიტერიუმი პოლონეთისა და ევროკავშირის სხვა მომხმარებლებისთვის. ასევე რეკომენდებულია, რომ ექსპორტიორებმა შეამცირონ რისკები კომპანიის შიდა ლაბორატორიების აღჭურვილობის შესყიდვით, რაც დაეხმარება მათ, რეგულარულად აკონტროლონ პროდუქტის ხარისხი და აღკვეთონ დაავადებული ან დაბინძურებული დაფნის ფოთლის ექსპორტირება.

რადგან სურსათის უვნებლობა ევროკავშირის სურსათის დარგის პრიორიტეტია, ექსპორტიორებს ხშირად სთავაზობენ დამატებით გარანტიებს სხვადასხვა სერტიფიკატის სახით. ევროკავშირის ბევრი მომხმარებელი (მყიდველები, სურსათის გადამამუშავებელი საწარმოები და საცალო მოვაჭრენი) მოითხოვს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის (HACCP-ის ან ISO სერტიფიკატის) უზრუნველყოფას. ევროკავშირში სურსათის უვნებლობის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემებია:

- BRC
- IFS
- FSSC22000
- SQF

ყველა ზემოთ აღნიშნული სისტემა აღიარებულია სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივის მიერ და, შესაბამისად, ნებისმიერი მათგანი მისაღები უნდა იყოს მსხვილი საცალო ვაჭრობის კომპანიებისთვის. პრაქტიკულად მომხმარებლები სურსათის უვნებლობის მართვის რომელიმე კონკრეტულ სისტემას ანიჭებენ უპირატესობას. ვიდრე ექსპორტიორი კომპანია გადაწყვეტს, აიღოს რომელიმე ზემოაღნიშნული სისტემის სერტიფიკატი, მან უნდა განსაზღვროს, რომელს ანიჭებს უპირატესობას პოტენციური მომხმარებელი. ბრიტანელი მომხმარებლები, მაგალითად, ხშირად ითხოვენ BRC-ის, ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებში უპირატესობას ანიჭებენ IFS-ის.

დამატებითი ინფორმაცია სურსათის უვნებლობის მართვის სისტემების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სტანდარტების რუკაზე

http://www.standardsmap.org/identify.

კონკურენტუნარიანობისა და ბაზარზე წვდომის შესაძლებლობების ზრდა ბაზრის კონკრეტული სეგმენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით

გარდა სავალდებულო მოთხოვნებისა, რომელიც უნდა დააკმაყოფილონ ექსპორტიორმა კომპანიებმა ევროპის ბაზარზე გასასვლელად, მათ შეიძლება მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა და გაუადვილდეთ მომხმარებლების პოვნა, თუ ასევე დააკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

ცნობილი საფირმო ნიშნების მატარებელი სერტიფიცირებული პროდუქციის ბაზარი სულ უფრო ფართოვდება. მდგრადობის სერტიფიკატის მქონე სუნელებისა და არომატული ბალახების ფასნამატი სერტიფიცირების ხარჯების კომპენსაციაა. ასეთი ფასნამატი მოქმედებს ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში, მაგრამ ზოგადად მომხმარებელს არ სურს ზედმეტის გადახდა შემდეგი სტანდარტებისთვის:

- Organic (ორგანული)
- Fair Trade
- Fair Wild (ველურ ბუნებაში შეგროვებული მცენარეებისთვის)
- Global G.A.P.

თვითკონტროლი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებლების უმეტესობას არ სურს ფასნამატის გადახდა სერტიფიცირებულ სუნელებსა და არომატულ მცენარეებში. აქედან გამომდინარე, ეს დარგი ეძებს სხვა გზებს მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ხარჯების ზრდის გარეშე. თვითკონტროლი ამის მიღწევის ერთ-ერთი გზაა.

თვითკონტროლის მეთოდის მიხედვით, გარკვეული ინსტრუქციების მიღების შემდეგ მიმწოდებლები თვითონ აფასებენ თავიანთ პროდუქტის შესაბამისობას მდგრადობის მოთხოვნებთან. მართალია, თვითკონტროლისთვის არ არის საჭირო ძვირადღირებული აუდიტი, მაგრამ ის მაინც დამატებით ხარჯებს უკავშირდება, მაგალითად, ადმინისტრირების ხარჯების ზრდა. ამ შემთხვევაშიც მომხმარებელს მოუწევს ფასნამატის გადახდა, თუმცა ის ნაკლები იქნება, ვიდრე სერტიფიცირებული პროდუქციის შემთხვევაში. ზოგიერთი მომხმარებლისთვის ესეც შეიძლება ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს.

დარგის ექსპერტების ვარაუდით, მომავალ წლებში გაფართოვდება თვითკონტროლის სისტემის გამოყენება. თვითკონტროლის სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამ სეგმენტში სერტიფიცირება არ არის ყოველთვის აუცილებელი, მაგრამ მომხმარებლებს სურთ იმის დემონსტრირება, რომ მდგრადობის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ამჟამად დარგის მსხვილი მონაწილე მხარეები, რომლებსაც შეუძლიათ მდგრადი პრაქტიკის განხორციელება მიწოდების მთელ ჯაჭვში, ხელს უწყობენ თვითკონტროლის მექანიზმის დამკვიდრებასა და სახელისა და ხარისხის მდგრადობასთან მათ კავშირს.

კორპორაციული პასუხისმგებლობა

ევროპელი მომხმარებლები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების თვალსაზრისით საწარმოთა კორპორაციულ პასუხისმგებლობას. ეს ასევე ეხება მიმწოდებლებსაც.

გავრცელებული პრაქტიკაა მიმწოდებლის ქცევის კოდექსის ხელმოწერა, რომელშიც ექსპორტიორი კომპანია აცხადებს, რომ სათანადო პასუხისმგებლობით ახორციელებს თავის საქმიანობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ექსპორტიორი და მისი მიმწოდებელი იცავენ ადგილობრივი გარემოსდაცვითი და შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არიან ჩართულნი კორუფციაში.

სუნელებისა და არომატული მცენარეების მიწოდების ჯაჭვში უმნიშვნელოვანესია ისეთი საკითხები, როგორებიცაა პესტიციდების სწორად გამოყენება, ბავშვთა შრომა, ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობები და სამართლიანი ანაზღაურება.

ევროპელი მომხმარებლების უმრავლესობა ითვალისწინებს ამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს თავისი მიმწოდებლების აუდიტის დროს. ისინი იცავენ მიღებულ სტანდარტებს, როგორიცაა

SEDEX

ETI

BSCI

ექსპორტიორმა კომპანიებმა აუცილებლად უნდა გაიაზრონ ის, რომ ევროპულ კომპანიებს განსხვავებული განსაზღვრებები, პრიორიტეტები და მისწრაფებები აქვთ კორპორაციული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. არ არსებობს ამ საკითხის მოგვარების ერთი გზა. ზოგჯერ შეიძლება საჭირო იყოს ქცევის კოდექსის ხელმოწერა ან ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილება, სხვა შემთხვევაში კი - ყველა შესაბამისი პრობლემის დადგენა და მოგვარება მიწოდების მთელ ჯაჭვში.

ექსპორტიორი კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან ევროპის ბაზარზე პროდუქციის გატანით, სულ მცირე, უნდა აკმაყოფილებდნენ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებში კორპორაციული პასუხისმგებლობის მოთხოვნებს. ბევრი მომხმარებელი ამ ასპექტს იყენებს ახალი მიმწოდებლების შერჩევის კრიტერიუმად. ექსპორტიორებს შეუძლიათ, შეიმუშაონ შესაბამისი საკითხების ჩამონათვალი არსებული სტანდარტების (მაგალითად, ISO26000) გამოყენებით და პოტენციურ პარტნიორსა და ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით, გადაწყვიტონ, რომელი მიმართულებაა უფრო მნიშვნელოვანი კონკრეტულ დროს კონკრეტულ ბაზარზე. ასევე შესაძლებელია, პოტენციური პარტნიორი ინფორმირდეს მიწოდების სრული ჯაჭვის სრული ციკლის შესახებ.

ექსპორტიორებს შეუძლიათ თვითშეფასების ჩატარება იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად პასუხობენ ისინი და ის ფერმერები, რომლებთანაც თანამშრომლობენ, აღიარებულ და მოქმედ სხვადასხვა საერთაშორისოს სტანდარტს. დამატებითი ინფორმაცია:

http://www.standardsmap.org/ssi/identify

ზოგადი რეკომენდაციები შეფასებული კომპანიებისთვის

ნედლეულის მართვა

იდეალურ ვითარებაში ექსპორტიორმა კომპანიებმა უნდა გააშენონ საკუთარი პლანტაციები სათანადო მარაგებისა და ნედლეულის ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად. Global G.A.P-ის ან ორგანული სერტიფიკატის მოპოვება პლანტაციისთვის გაზრდის პროდუქტის ღირებულებას და მისცემს კომპანიას შესაძლებლობას, ითანამშრომლოს მომხმარებლებთან ორგანული საკვების დარგში.

ამჟამად კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი, საკუთარი დაფნის პლანტაციების გაშენების ინვესტირებისთვის. თუმცა მათ შეუძლიათ, მეტი ყურადღება მიაქციონ ხარისხის კონტროლის ზომებს (ქიმიკატებისა და სასუქების გამოყენების, პროდუქციის ტრანსპორტირებისა და შენახვის თვალსაზრისით) და გრძელვადიანი თანამშრომლობა წამოიწყონ დაფნის ფოთლების ადგილობრივ მიმწოდებლებთან, ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ექსპორტიორ კომპანიებს ასევე შეუძლიათ, ხელი შეუწყონ თავიანთ მსხვილ და ყველაზე სანდო მიმწოდებლებს ორგანული სერტიფიკატის მიღებაში.

საწარმოო აღჭურვილობა

კომპანიების უმრავლესობას დამატებითი ინვესტიციები სჭირდება საწარმოო აღჭურვილობის შესყიდვისთვის, მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და უფრო მაღალი ხარისხის დაფნის ფოთლის წარმოების მიზნით.

გადახდის პირობები და ვაჭრობის დაფინანსება

ხშირად მომხმარებლები ევროკავშირში ან სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე საქონლის საფასურს იხდიან მისი მიღების შემდეგ (20-30 სამუშაო დღეში ან უფრო ხანგრძლივ ვადაში), რაც ნიშნავს იმას, რომ ექსპორტიორ კომპანიებს შეიძლება, სამუშაო კაპიტალი შემოაკლდეთ. ეს განსაკუთრებით მსხვილ შეკვეთებს ეხება. ექსპორტიორი კომპანიის მენეჯმენტმა უნდა გაიაროს კონსულტაციები ადგილობრივ საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებთან მათთვის ხელმისაწვდომი დაფინანსების თაობაზე. თუ ექსპორტიორ კომპანიას არ მიუწვდება ხელი საკრედიტო სახსრებზე, კონკურენტებთან შედარებით, ის წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდება.

სპეციალური ტრენინგი

შემოწმებული კომპანიებისთვის სასარგებლო იქნება პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება, მათი გაყიდვების, მარკეტინგისა და ექსპორტის მართვის უნარების ამაღლების მიზნით. ამ კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ბაზარზე გასვლის ეფექტური სტრატეგია, მათი საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციისა და შერჩეულ ბაზრებზე გაყიდვების მოცულობის გაზრდის მიზნით. სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობისა და სავაჭრო ღონისძიებებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების საკითხებში ტრენინგის ჩატარება დაეხმარება კომპანიებს, წარმატებით ჩამოაყალიბონ ახალი სავაჭრო ურთიერთობები.

ექსპორტიორმა კომპანიებმა, სადაც ერთზე მეტი თანამშრომელია ექსპორტით დაკავებული, მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თითოეული ექსპორტის მენეჯერის პასუხისმგებლობა. მათი უნარების, გამოცდილებისა და ენების ცოდნის გათვალისწინებით, შეიძლება, თითოეული მათგანის კონკრეტულ საექსპორტო ბაზარზე მიმაგრება. კომპანიებს, რომლებსაც ენის ბარიერი აქვთ (რუსულის გარდა), ინვესტიციები უნდა განახორციელონ უცხო ენების (ინგლისური) ტრენინგებში ან უნდა დაიქირავონ ექსპორტის მენეჯერი, რომელსაც ენა სათანადოდ ეცოდინება ევროკავშირის სამიზნე საექსპორტო ბაზრებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

მარკეტინგის ინსტრუმენტები

ზოგიერთმა კომპანიამ უნდა შექმნას ან გააუმჯობესოს თავისი ვებგვერდი, კომპანიის ლოგო, სარეკლამო ვიდეორგოლები, დაბეჭდოს ბროშურები, კატალოგები და გამოიყენოს ისინი, როგორც მარკეტინგის/რეკლამის ინსტრუმენტები ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასასვლელად. სხვადასხვა სოციალური ქსელი და სავაჭრო პორტალებზე დარეგისტრირება დაეხმარება კომპანიას თავისი პროდუქციის პოპულარიზაციაში და კომპანიის ცნობადობის გაზრდაში.

ბაზრის კვლევა

ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლამდე და სარეკლამო ღონისძიებებისთვის ბიუჯეტის გამოყოფამდე (სავაჭრო გამოფენებში, სავაჭრო მისიებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა) ექსპორტიორმა კომპანიებმა უნდა ჩაატარონ ბაზრის კომპლექსური კვლევა ამ ბაზრის სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. შეგროვებული მონაცემები უნდა გამოიყენონ მარკეტინგის დეტალური სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა ისარგებლოს მესამე მხარის (მარკეტინგული საკონსულტაციო კომპანიის ან ინდივიდუალური კონსულტანტის) მომსახურებით ან განახორციელოს ეს საკუთარი თანამშრომლების (ექსპორტის მენეჯერი) დახმარებით.

მარკეტინგის სტრატეგია

ექსპორტიორმა კომპანიამ უნდა შეიმუშაოს მარკეტინგის დეტალური სტრატეგია საფუძვლიანი მარკეტინგული კვლევისა და საკუთარი შესაძლებლობების, პოტენციალის რეალისტური შეფასების საფუძველზე.

მკაფიო და რეალისტური მიზნები და მათი განხორციელების სტრატეგია უმნიშვნელოვანესია ახალი საექსპორტო ბაზრების წარმატებით მოძიებაში.

სავაჭრო გამოფენები

ევროკავშირში ან სხვა განვითარებულ ქვეყნებში სურსათის, სასმელების ან სოფლის მეურნეობის დარგში ორგანიზებული B2B ტიპის გამოფენებზე დასწრება ან მონაწილეობა ძალიან სასარგებლო იქნება ექსპორტიორი კომპანიებისთვის. ეს მისცემს მათ საშუალებას, განსაზღვრონ თავიანთი პოტენციური სავაჭრო პარტნიორები და უშუალო ურთიერთობა დაამყარონ მათთან, ჩამოაყალიბონ ახალი სავაჭრო კავშირები, დააკვირდნენ კონკურენტების პროდუქციას და შეადარონ საკუთარს, გაერკვნენ ამ დარგში არსებულ ტენდენციებში.

2017 წელს სურსათისა და სასმელების სფეროში მსოფლიოს წამყვანი B2B სავაჭრო გამოფენებია:

1. **WinterFancyFoodShow** (სან ფრანცისკო): 2-24 იანვარი – ძირითადად აშშ-ის ბაზრისთვის
2. **Prodexpo** (მოსკოვი): 06-10 თებერვალი 2017 – ძირითადად რუსეთის ბაზრისთვის
3. **Biofach** (ნიურნბერგი): 15-18 თებერვალი 2017 – მხოლოდ სერტიფიცირებული ორგანული პროდუქტებისთვის
4. **Gulfood** (დუბაი): 18-22 თებერვალი 2018 – ძირითადად ახლო აღმოსავლეთის ბაზრებისთვის
6. **SummerFancyFoodShow** (ნიუ-იორკი): 22-25 ივნისი– ძირითადად აშშ-ის ბაზრისთვის
7. **FoodexJapan** (ტოკიო): 07-10 მარტი 2017 – ძირითადად იაპონიის ბაზრისთვის
8. **WorldFood** (ვარშავა): 11-13 აპრილი 2017 – ძირითადად პოლონეთის ბაზრისთვის
9. **Hofex** (ჰონგ-კონგი): 08-11 მაისი 2017 – ძირითადად აზიის ბაზრებისთვის
10. **SIAL China** (შანჰაი): 17-19 მაისი 2017 – ძირითადად ჩინეთის ბაზრისთვის
11. **Rigafood** (რიგა): 06-09 სექტემბერი, 2017 – ძირითადად ბალტიის ქვეყნების ბაზრებისთვის
12. **Polagra** (პოზნანი): 25-28 სექტემბერი, 2017
13. **Anuga** (კიოლნი): 07-11 ოქტომბერი 2017 – ძირითადად ევროკავშირის ბაზრებისთვის
14. **Prodexpo** (მინსკი): 14-17 ნოემბერი 2017 – ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზრებისთვის
15. **SIAL** (პარიზი): 21-25 ოქტომბერი 2018 - ძირითადად ევროკავშირის ბაზრებისთვის

ექსპორტიორმა კომპანიებმა სავაჭრო გამოფენები უნდა შეარჩიონ თავიანთი სამიზნე საექსპორტო ბაზრების, ექსპორტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტისა და კონკრეტულ ბაზარზე გასვლის მზადყოფნის დონის შესაბამისად. სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობა ძვირად ღირებულია. რეკომენდებულია, კომპანიამ შეძლებისდაგვარად ითანამშრომლოს სახელმწიფო უწყებებთან ან დონორებთან, რომლებიც დაეხმარებიან კომპანიას ამ მონაწილეობის დაფინანსებაში.

საქართველოს დაფნის ფოთლის დარგის და აუდიტორულად შემოწმებული კომპანიების SWOT ანალიზი ევროკავშირის ბაზართან დაკავშირებით

უპირატესობები

სანდო პოტენციური სავაჭრო პარტნიორების არსებობა;

ნედლეულის მაღალი ხარისხი

ნედლეულის კონკურენტუნარიანი ფასი;

წარმოების გამოცდილება (ყველა კომპანიას არა აქვს);

წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი (მხოლოდ რამდენიმე კომპანიის)

აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მაღალი ხარისხი (მხოლოდ რამდენიმე კომპანიის)

გამოცდილება ექსპორტის მენეჯმენტში (მხოლოდ რამდენიმე კომპანიის)

სისუსტეები

ნაკლები აქტიურობა ბაზარზე, თურქეთთან და სხვა მიმწოდებლებთან შედარებით;

ინფორმაციის ნაკლებობა ევროკავშირის/ პოლონეთის ბაზრის მოთხოვნების თაობაზე;

ბაზარზე მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა

ბაზარზე მუშაობის უნარების ნაკლებობა;

არასაკმარისი ბიუჯეტი ბაზარზე გასასვლელად;

შეზღუდული საწარმოო შესაძლებლობები

ქართული დაფნის ნაკლები ცნობადობა, თურქულთან შედარებით

ენობრივი ბარიერები (ზოგიერთი კომპანიისთვის)

ექსპორტის მენეჯმენტში გამოცდილების ნაკლებობა (ზოგიერთ კომპანიაში)

სამუშაო კაპიტალის ნაკლებობა მსხვილი შეკვეთებისთვის;

სავაჭრო კრედიტის შეთავაზების შეუძლებლობა

შესაძლებლობები

ახალ მსხვილ საექსპორტო ბაზარზე გასვლა;

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის პოტენციალი დაფნის პლანტაციების გაშენება)

პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალი;

კონკურენტული ფასები;

პირდაპირ მომხმარებლებისთვის ექსპორტირების პოტენციალი (თურქეთში ექსპორტის ნაცვლად, საიდანაც ხორციელდება ქართული დაფნის რეექსპორტი მთელ მსოფლიოში, ევროკავშირის ქვეყნების ჩათვლით)

შეფუთული დაფნის ფოთლის წარმოების პოტენციალი

გრძელვადიანი თანამშრომლობის ხელშეკრულებები მაღალი ხარისხის, ორგანულ ან fair trade პროდუქციაზე

ორგანული სერტიფიცირებული ნედლეულის ბაზის შემუშავება (ორგანული დაფნის პლანტაციები ან კოოპერატივების ჩამოყალიბება, რომლებშიც გაერთიანდება მსხვილი საოჯახო მეურნეობები ორგანული დაფნის საწარმოებლად).

საფრთხეები

მცენარეების დაავადებები ნედლეულში;

ნედლეულის ფასის ზრდა შეზღუდული რეზერვებისთვის, დიდი კონკურენციის გამო;

ძლიერი კონკურენცია თურქი მიმწოდებლების მხრიდან, ხარისხის თვალსაზრისით;

რეპუტაციის შელახვა, ხარისხიანი პროდუქციის მიუწოდებლობის ან კონტრაქტის სხვა პირობების შეუსრულებლობის გამო.

რეკომენდაციები საქართველოს დაფნის ფოთლის დარგის განვითარების თაობაზე

დაფნის ფოთლის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის შექმნა ძალიან სასარგებლო იქნება დარგის განვითარებისთვის, მისი საერთაშორისო იმიჯისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის. თავდაპირველად ასოციაციას შეიძლება დაეხმაროს მთავრობა ან დონორი ორგანიზაციები. მას შემდეგ, რაც ასოციაცია გაძლიერდება, ის უნდა დაფინანსდეს საწევრო გადასახადების თანხებით. საქართველოს დაფნის წარმოების დარგისთვის ასოციაციამ უნდა შეასრულოს შუამავლისა და ლობისტის როლი მთავრობის, დონორი ორგანიზაციების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის და სუნელების მწარმოებელთა ინტერესების წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე. სხვა ფუნქციებთან ერთად ასოციაციის საქმიანობა შეიძლება, ასევე მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- სურსათის უვნებლობის საკითხებში დაფნის ფოთლის მწარმოებელთა ტრენინგების ორგანიზება;
- აგრონომების სწავლება და ტრენინგი დაფნის მოყვანის საკითხებში;
- დარგის წარმომადგენლებისთვის სასწავლო ტურების ორგანიზება;
- ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის ანგარიშებისა და განახლებული ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება;
- ევროპის სუნელების ასოციაციაში (ESA) გაწევრიანება;
- სხვადასხვა პოტენციური საექსპორტო ბაზრის კვლევა;
- ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება;
- მარკეტინგის, გაყიდვებისა და ექსპორტის განვითარების საკითხებში დარგის წარმომადგენლების ტრენინგის ორგანიზება;
- მომხმარებელთა მოწვევა ან მათ ქვეყანაში სტუმრობა, ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის B2B შეხვედრების ორგანიზება;
- ქართული დაფნის ფოთლის რეკლამირება სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე;
- საქართველოს, როგორც მაღალი ხარისხის დაფნის ფოთლის სანდო მიმწოდებლის, საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება.

დანართი 2: პოლონეთი - პოტენციური საექსპორტო ბაზარი საქართველოსთვის

პოლონეთი შედის გამხმარი დაფნის ფოთლის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების ათეულში. 2011-2015 წლებში დაფნის ფოთლის წლიური იმპორტის საშუალო მოცულობა 400-700 ტონას შეადგენს. დაფნის ფოთოლზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, ძირითადად პროდუქტის მრავალფეროვანი დანიშნულების გამო (საკვები, არომატები, ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქცია და სხვა). პოლონეთისთვის დაფნის ფოთლის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია თურქეთი.

ცხრილი 2.1.1

პოლონეთში იმპორტირებული დაფნის ფოთოლი

ექსპორტიორები	2011		2012		2013		2014		2015	
	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი
მსოფლიო	417	2370	435	2667	559	3564	659	4131	656	3856
თურქეთი	355	1915	373	2284	453	2863	543	3300	568	3340
გერმანია	22	129	15	62	38	154	53	363	46	166
სლოვაკეთი	13	43	25	90	23	160	26	163	24	126
ავსტრია	7	175	6	149	7	166	8	201	7	164
საქართველო	4	8	6	10	20	63	24	44	2	5
ლატვია	1	1	1	2	0	0	2	8	1	2
ნიდერლანდი	12	62	6	39	15	111	4	33	1	17

წყარო: QYR სურსათისა და სასმელების კვლევის ცენტრი, 2017 წლის მარტი

წყარო: ITCTradeMap

ცხრილი 2.1.2

პოლონეთის მიერ იმპორტირებული 1 კგ დაფნის ფოთლის ფასი ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარი)					
ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015
თურქეთი	5,4	6,1	6,3	6,1	5,9
გერმანია	5,9	4,1	4,1	6,8	3,6
სლოვაკეთი	3,3	3,6	7,0	6,3	5,3
ავსტრია	25,0	24,8	23,7	25,1	23,4
საქართველო	2	1,7	3,2	1,8	2,5
ლატვია	1	2	3	4	2
ნიდერლანდი	5,2	6,5	7,4	8,3	17

წყარო: QYR სუნსათისა და სასმელების კვლევის ცენტრი, 2017 წლის მარტი

წყარო: ITCTradeMap

იმპორტირებული გამხმარი დაფნის ფოთლის 75%-ს (350-450 ტონა) პოლონეთის შიდა ბაზარი მოიხმარს და ადგილობრივი მოხმარება სტაბილურად იზრდება. პოლონეთი ახორციელებს დარჩენილი მოცულობების რეექსპორტს ძირითადად პაკეტებში დაფასოებული ფორმით სხვა დაფასოებულ სუნელებთან ერთად. გარკვეული მოცულობის იმპორტირებული მასალა პირდაპირ რეექსპორტზე გადის, მაგრამ უმეტესობა დამატებით გადამუშავდება ღირებულების დამატების მიზნით.

ცხრილი 2.1.3

პოლონეთის მიერ იმპორტირებული დაფნის ფოთოლი										
ექსპორტიორები	2011		2012		2013		2014		2015	
	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი	მოცულობა ტონა	აშშ $ ათასი
მსოფლიო	89	1911	115	2200	109	2397	163	2833	144	2240
რუსეთის ფედერაცია	33	765	42	906	44	1110	72	1282	48	699
ჩეხეთის რესპუბლიკა	17	229	17	243	17	240	18	246	16	211
უკრაინა	8	163	8	164	6	131	4	94	5	64
გერმანია	8	173	8	143	7	181	4	90	5	97
რუმინეთი	7	161	12	253	11	280	13	287	16	304
თურქეთი	5	24	21	165	5	31	4	34	9	34
გაერთიანებული სამეფო	2	63	3	80	3	98	4	121	4	117

წყარო: QYR სუნსათისა და სასმელების კვლევის ცენტრი, 2017 წლის მარტი

წყარო: ITCTradeMap

ცხრილი 2.1.4

პოლონეთის მიერ ექსორტირებული 1 კგ დაფნის ფოთლის ფასი დანიშნულების ადგილის მიხედვით (აშშ დოლარი)					
ქვეყანა	2011	2012	2013	2014	2015
რუსეთის ფედერაცია	23,2	21,6	25,2	17,8	14,6
ჩეხეთის რესპუბლიკა	13,5	14,3	14,1	13,7	13,2
უკრაინა	20,4	20,5	21,8	23,5	12,8
გერმანია	21,6	17,9	15,9	22,5	19,4
რუმინეთი	23	21,1	25,5	22,1	19
თურქეთი	4,8	7.9	6,2	8,5	3,8
გაერთიანებული სამეფო	31,5	26,7	32,7	30,3	29,3

წყარო: QYR სურსათისა და სასმელების კვლევის ცენტრი, 2017 წლის მარტი **წყარო:** ITCTradeMap

ქვემოთ წარმოდგენილია სუნელების მიმწოდებელი ბაზრების ჩამონათვალი, 2015 წელს პოლონეთის მიერ იმპორტირებული დაფნის ფოთლის ჩათვლით (პროდუქტი: 091099 სუნელები, გარდა პილპილის (Piper გვარის), წიწაკის ან პიმენტას ნაყოფის, ვანილი, დარიჩინი, დარიჩინის ხის ნაყოფი, მიხაკის ნაყოფი, მიხაკის ღერო, ჯავზი, ჯავზის ნაყოფის დაფქული ნაჭუჭი, კარდამონი, ანისულის თესლები, ბადიანი, დიდი კამა, ქინძი, ძირა და კვლიავი, ასევე ღვიის ნაყოფი, ჯანჯაფილი, ზაფრანა, კურკუმინი (ტურმერიკი) და სხვადასხვა სუნელის

ცხრილი 2.1.5 პოლონეთში ექსპორტიორი ქვეყნები

ექსპორტიორები	2015 წელს იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა (ათასი აშშ დოლარი)	წილი პოლონეთის იმპორტის მოცულობაში (%)	2015 წელს იმპორტირებული მოცულობა	ერთეული ღირებულება (აშშ დოლარი/ ერთეული)
მსოფლიო	10046	100	2189	4589
თურქეთი	3736	37,2	630	5930
გერმანია	3582	35,7	786	4557
იტალია	468	4,7	178	2629
ინდოეთი	359	3,6	159	2258
ავსტრია	328	3,3	41	8000
დანია	323	3,2	50	6460
ბრაზილია	223	2,2	17	13118
ნიდერლანდები	193	1,9	39	4949
გაერთიანებული სამეფო	141	1,4	28	5036
სლოვაკეთი	131	1,3	25	5240
სხვა	562	5,5	263	

წყარო: QYR სურსათისა და სასმელების კვლევის ცენტრი, 2017 წლის მარტი **წყარო:** ITCTradeMap

ქვემოთ წარმოდგენილია სუნელების იმპორტის ბაზრების ჩამონათვალი, 2015 წელს პოლონეთის მიერ ექსპორტირებული დაფნის ფოთლის ჩათვლით (პროდუქტი: 091099 სუნელები, გარდა პილპილისა (Piper გვარის), წიწაკის ან პიმენტას ნაყოფის, ვანილი, დარიჩინი, დარიჩინის ხის ნაყოფი, მიხაკის ნაყოფი, მიხაკის ღერო, ჯავზი, ჯავზის ნაყოფის დაფქული ნაჭუჭი, კარდამონი, ანისულის თესლები, ბადიანი, დიდი კამა, ქინძი, ძირა და კვლიავი, ასევე ღვიის ნაყოფი, ჯანჯაფილი, ზაფრანა, კურკუმინი (ტურმერიკი) და სხვადასხვა სუნელის ნარევები).

ცხრილი 2.1.6 პოლონეთის ექსპორტი

იმპორტიორები	2015 წელს ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა (ათასი აშშ დოლარი)	წილი პოლონეთის ექსპორტის მოცულობაში (%)	2015 წელს ექსპორტირებული მოცულობა	ერთეული ღირებულება (აშშ დოლარი/ ერთეული)
მსოფლიო	11922	100	2819	4229
გერმანია	3991	33,5	948	4210
გაერთიანებული სამეფო	1368	11,5	191	7162
ესპანეთი	1299	10,9	502	2588
საფრანგეთი	1044	8,8	290	3600
რუსეთის ფედერაცია	749	6,3	63	11523
უნგრეთი	494	4,1	159	3107
თურქეთი	463	3,9	172	2692
რუმინეთი	413	3,5	45	9178
ჩინეთის რესპუბლიკა	274	2,3	35	7829
აშშ	266	2,2	72	3694
სხვა	1561	13	340	

წყარო: QYR სურსათისა და სასმელების კვლევის ცენტრი, 2017 წლის მარტი

წყარო: ITCTradeMap

ევროკავშირში პოლონეთია საქართველოს ყველაზე მსხვილი პარტნიორი დაფნის ფოთლით ვაჭრობაში, მაგრამ პოლონეთის წილი საქართველოს დაფნის ფოთლის ექსპორტში უმნიშვნელოა. 2013-2015 წლებში საქართველოდან დაფნის ფოთლის ექსპორტი პოლონეთში მკვეთრად შემცირდა, მაგრამ 2016 წელს ექსპორტირებული მოცულობა თითქმის გაორმაგდა (იხ. გრაფიკი ქვემოთ, სადაც ნაჩვენებია 2013-2016 წლებში საქართველოდან პოლონეთში ექსპორტირებული დაფნის ფოთლების ღირებულება და მოცულობა)

გრაფიკი 2.1.1 საქართველოდან პოლონეთში დაფნის ფოთლის ექსპორტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თურქეთიდან დაფნის ფოთლის ექსპორტი პოლონეთში გაცილებით დიდი მოცულობისაა, ვიდრე საქართველო-დან. ამასთან, თურქეთი აწვდის პოლონეთს უფრო მაღალი ხარიხისა და დამატებითი ღირებულების მქონე პრო-დუქტს უფრო მაღალ ფასად, ვიდრე საქართველო.

გრაფიკი 2.1.2 დაფნის ფოთლის ექსპორტი პოლონეთში 2015-2016 წლებში: საქართველო- თურქეთი



გრაფიკი 2.1.3 საქართველო და თურქეთი, პოლონეთში ექსპორტირებული პროდუქტის საშუალო ფასები (აშშ დოლარი კგ-ზე)

	2015	2016
თურქეთი	4,8	4,7
საქართველო	2,2	2,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ (DCFTA) შეამცირა სავაჭრო ბარიერები საქართველოსა და პოლონეთს შორის და ამან შეიძლება, მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს დაფნის ფოთლის ექსპორტიორ ქართულ კომპანიებს იმ პირობით, რომ ისინი დააკმაყოფილებენ სავალდებულო და სხვა დამატებით მოთხოვნებს. საბაჟო გადასახადი ქართული წარმოშობის დაფნის ფოთოლზე, რომელიც ექსპორტირებულია EUR1 ფორმის წარმოშობის სერტიფიკატით, შეადგენს 0%-ს. დღგ-ის სტანდარტული განაკვეთი პოლონეთში არის 23%. სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე დღგ შემცირებულია და დაფნის ფოთლის შემთხვევაში შეადგენს 5%-ს. იმავე დღგ-ის განაკვეთი და საბაჟო გადასახადი ეხება თურქეთიდან იმპორტირებულ დაფნის ფოთოლს. ქვეყნები, რომლებისთვისაც არ მოქმედებს სპეციალური სავაჭრო რეჟიმი, იბეგრება 7%-იანი ტარიფით მაშინ, როდესაც საქართველოსა და თურქეთისთვის ტარიფი 0%-ია.

წყარო : EU ExportHelpdesk

წყარო: პოლონეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

დანართი 3: ექსპორტის პროცედურები

მიმწოდებელი და მყიდველი აფორმებენ შესყიდვის ხელშეკრულებას ან შესყიდვის შეკვეთას, რომელშიც მითითებულია პროდუქციის ხარისხი, მიწოდებისა და გადახდის პირობები, ასევე მოლაპარაკებისას განხილული სხვა საკითხები. თუ მხარეები იყენებენ აკრედიტივს ან საბანკო გარანტიას, როგორც წესი, ისინიც უნდა შეიტანონ ხელშეკრულებაში.

მიმწოდებელი კომპანია ამზადებს კომერციულ ინვოისს ან სასაქონლო ზედნადებს. ზოგჯერ, როდესაც არსებობს შეთანხმება მთლიანად ან ნაწილობრივ წინასწარ გადახდაზე, მიმწოდებელ კომპანიას შეიძლება დასჭირდეს პროფორმა ინვოისის გაცემა.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს ან გამყიდველს სურს პროდუქტის ხარისხის მტკიცებულება, პროდუქტი უნდა გაიგზავნოს ანალიზისთვის და ლაბორატორიული ანალიზის ანგარიში წარადგინოს საქართველოში აკრედიტებულმა რომელიმე ლაბორატორიამ.

თუ მყიდველი ამას მოითხოვს, მიმწოდებელმა შეიძლება აიღოს შესაბამისობის სერტიფიკატი საქართველოში აკრედიტებული რომელიმე ლაბორატორიიდან, ლაბორატორიული ანალიზის ანგარიშის საფუძველზე. ასევე მყიდველის მოთხოვნით, მიმწოდებელმა შეიძლება აიღოს ჰიგიენური სერტიფიკატი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან, ლაბორატორიული ანალიზის ანგარიშის საფუძველზე.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის აღება შეიძლება სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში ან მის რეგიონულ ოფისებში, სააგენტოს ინსპექტორის მიერ ვიზუალური ინსპექტირების საფუძველზე. სურსათის ეროვნული სააგენტო ითხოვს შემდეგ დოკუმენტებს: შესყიდვის ხელშეკრულებას, სასაქონლო ზედნადებს, კომერციულ ინვოისსა და ფუმიგაციის სერტიფიკატს (ფუმიგაციის ჩატარების შემთხვევაში).

CMR სატრანსპორტო ზედნადები ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისთვისუნდა აიღონ ქვეკონტრაქტორი სატრანსპორტო კომპანიისგან.

წარმოშობის სერტიფიკატს გასცემენ გაფორმების ეკონომიკური ზონები (ეს ზონები მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში). ამ სერტიფიკატის მისაღებად საჭირო დოკუმენტებია: შესყიდვის ხელშეკრულება ან შესყიდვის შეკვეთა, კომერციული ინვოისი, სასაქონლო ზედნადები და ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. ამჟამად საქართველოში ოთხი ტიპის წარმოშობის სერტიფიკატის აღებაა შესაძლებელი: CT-პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, EUR1 - ევროკავშირისა და თურქეთისთვის, ფორმა A – აშშ-სთვის, არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - სხვა დანარჩენი ქვეყნებისთვის.

საექსპორტო დეკლარაცია გაიცემა გაფორმების ეკონომიკური ზონების რეგიონულ ოფისებში (ეს ზონები მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში).

მყიდველის თხოვნის საფუძველზე, ექსპორტიორმა კომპანიამ შეიძლება მოამზადოს წონის სერტიფიკატი წონის ბილეთების (ცარიელი და დატვირთული სატვირთო მანქანის/კონტეინერის ბრუტო წონებს შორის სხვაობა) შესაბამისად. ისინი გაიცემა არსებულ საბაჟო ტერმინალებში ან საბაჟოს ლიცენზირებულ საწყობებსა და ლოგისტიკის ცენტრებში, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში. წონის სერტიფიკატის გაცემა შეიძლება დაევალოს დამოუკიდებელ საკონსულტაციო ან საერთაშორისო ინსპექტირების კომპანიებსაც, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებენ.

CMR სატრანსპორტო ზედნადები გამოიყენება საქონლის სატვირთო ავტომობილებით ტრანსპორტირებისას.

საზღვაო სატრანსპორტო ზედნადები გამოიყენება საქონლის ზღვით ტრანსპორტირებისას.

საავიაციო სატრანსპორტო ზედნადები გამოიყენება საქონლის ჰაერით ტრანსპორტირებისას.

სარკინიგზო ზედნადები გამოიყენება საქონლის რკინიგზით ტრანსპორტირებისას.

ცხრილი 3.1.1.საექსპორტო დოკუმენტაცია

შესყიდვის ხელშეკრულება
პროფომა ინვოისი, კომერციული ინვოისი, სასაქონლო ზედნადები
ლაბორატორიული ანალიზის ანგარიში
შესაბამისობის სერტიფიკატი
ჰიგიენური სერტიფიკატი
ფუმიგაციის სერტიფიკატი
ფიტოსანიტარული სერტიფიკატი
CMR სატრანსპორტო ზედნადები (ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისთვის)
წარმოშობის სერტიფიკატი
საექსპორტო დეკლარაცია
წონის სერტიფიკატი
CMR სატრანსპორტო ზედნადები (სატვირთო ავტომობილებით საქონლის გადაზიდვისას)
საზღვაო-სატრანსპორტო ზედნადები (საქონლის ზღვით ტრანსპორტირებისას)
საავიაციო სატრანსპორტო ზედნადები (საქონლის ჰაერით ტრანსპორტირებისას)
სარკინიგზო სატრანსპორტო ზედნადები (საქონლის რკინიგზით ტრანსპორტირებისას)